




ქართული  
ბიბლიოთეკა



საქმავილო ნახატებიანი

ქურნალი

№ IV

ა ბ რ ი ლ ი

1909





მ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „გეგადისა“

I სურათი, „განცვიფრება“ . . . . .	2
II გაზაფხული, ლექსი ჯადო გეგეგადისა . . . . .	3
III ჭკვიანი თხები . . . . .	5
IV გამჭრიახი ფინია (თარგმანი) . . . . .	6
V უცაბედი მეგობრობა (ბუნების მეტყველებიდან) თარგმანი ან. წერეთლისა . . . . .	7
VI მეგაზეთე ვასო (რუსულით) შემდეგი იქნება, ტ. ვეფხვაცხისა	14
VII როგორ დაიფარა ობობამ თავისი ქსელი (თარგმანი) ტასლისა . . . . .	24
VIII მეფიჩხის ქალი, ზღაპარი, ჩაწერილი აპოლონ ინაშვილის მიერ . . . . .	25
IX ჭკვიანი ღორი (გასართობი) . . . . .	34
<hr/>	
X ტყეში, სურათი, ჯადო გეგეგადისა . . . . .	35
XI „კიბუნ-დეიზინ“ მოთხრობა ჯენზეი მურაისა (გაგრძელება) ად. ნათაძისა . . . . .	39
XII ჩოახუნა დათუნია, სეტონ-ტომპსონისა (თარგმანი) მ. იაშვილისა . . . . .	46
XIII ტელეგრამა უმავთულოთ (მარკონი) . . . . .	60
XIV გამოსადეგი ამბავი . . . . .	61
XV წვრილმანი . . . . .	63

საქმასწავლო ნახატებიანი ჟურნალი

# გ ე გ ი ლ ი

დაარსებულია 1890 წელს


გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.





ქართული  
ბიბლიოთეკა



საქართველო ნახატებიანი

ქურონალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

აპრილი, 1909

წელიწადი მშობე

თ ფ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი ანბ. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1909





„განცვიფრება“.





## გაზაფხული.

ბაღში ვარდი იფურჩქნება,  
ტყე ფოთლებით იმოსება;  
ისმის ირგვლივ ფრინველთ სტვენა,  
კისკისი და განარება.

მზე უხვად ჰუენს ცხოველ სხივებს,  
აღნობს, აქრობს მკაცრ ვინულებს...  
და სიმწვანე ზურმუხტის ფრად  
შეჭხარავია მდელო-მინდვრებს.

მდინარენაც ჩუხჩუხებენ,  
თავისუფლად ბუტბუტებენ  
და ათას-ფრად მოქარგულ მთებს  
ტკბილსა ნანას უმღერებენ!

გლეხი თოხნის მიწას სწულსა,  
თოვლისაგან გატრუსულსა,  
საუნურსა დაჭლიდინებს  
და შეჭხარის გაზაფხულსა!

მწარე ოფლში იწურება  
და შრომა არ ეხარება, —  
რადგან უხვი მოსავალი  
მას სასამართოთ ენატრება;

ხედავს ეანა კვლავ იხრდება,  
გულს იმედი ესანება;

საქართველოს  
ენციკლოპედია  
ქართული  
ენციკლოპედია




20551  
80547



რომ კარგი სჩანს მოსავალი  
და შრომა არ ეკარება!

მერცხლები კვლავ მოკვიფრინდენ,  
მორთეს სტვენა, აჭიკჭიკდენ;  
ბარტყებიცა გამოსჩეკეს,  
ატიტინდენ, აკვიფრინდენ!..

ბაღში ვარდა იფურჩქნება,  
ტყე ფოთლებით იმოსება;  
ისმის ირკულივ ფრინველთ სტვენა,  
კისკისი და განსარება!




ლადო გიგეჭკორი.








## ჭკვიანი თხები.



ორი თხა შესვდეს ერთმა  
ნერთს ერთ ფრიალო ციცა-  
ბოხე. ბილიეს ორიჳ ძხა  
რეს ჩაუდიოდა ნაპრალი და  
ისეთი ვიწრო იყო, რომ  
კხას ერთი მეორეს ვერაუ-  
ქცევდენ. თხები ცოტა ხანს ერთმანერთს უეურებდენ,  
თითქოს ფიქრობდენ, როგორ დაესწიათ თავი. ბო-  
ლოს ეტეობოდათ ერთ გადაწევეტილებას დაადგენ.  
ერთმა თხამ ფრთხილათ დაიხრქა და ძიწას გაეკვრა.  
მეორე თხამ ხედ გადაუარა.





# გამჭრიახი ფინია.

(თარგმანი)

**ს**აფრანგეთის დედა ქალაქის, პარიზის, ერთ ჯვარედინა ქუჩის შესახვევში იჯდა ხოლმე ერთი ჩექმების გამწმენდავი. ამ ჩექმების გამწმენდავს ჰქაუდა ერთი გამჭრიახი ფინია, რომელიც მას კარგ შემოსავალს აძლევდა. ფინია დაინახავდა თუ არა შორიდან ვისმეს კაი გაწმენდილი ჩექმებით, მაშინვე ფეხებში ეცემოდა და ჩექმებს ისე გაუსვრიდა, რომ კაცი იძულებული ხდებოდა ხელახლათ გაეწმენდინებინა ჩექმები.

ერთ ინგლისელს ძალიან მოეწონა ფინიას გამჭრიახობა, მეჩექმესაგან დიდ ფასში იყიდა და ლონდონში წაიყვანა. თუმცა ფინიას ინგლისელი კარგათ ინახავდა, მაგრამ ძალღი ძანაც გაეკცა პარიზში და თავის ადრინდელ პატრონთან მივიდა.





## უცაბედი მეგობრობა.

(ბუნების მეტყველებიდან)



რთი ეხოს სანაგვეში გადისრო-  
ლეს დაქანგული ლურსმანი და  
ნასშირის ნატეხი. ორივენი იქ  
ისე უცბათ გაჩნდენ, რომ ვერ  
წარმოედგინათ როგორ მოხდა ეს.

— გაგიძარჯვით ჩემო მეგო-  
ბრებო, — მოულოდნელათ დაუ-  
ფვირბ გატეხილმა თისის ჯამ-  
მა, — რა ძინარიან, რომ ჩემ  
გვერდით ვინმე გაჩნდა, თორემ

ეს მესამე დღეა მარტო ვარ და სმა არავისთვის გა-  
მიცია. მერე რომ იცოდეთ სამსხარეულოში რა მსია-  
რულათ ვცნობობდი! წარმოიდგინეთ, ჩვენისთანები  
ორ ათეულზე მეტი ვიყავით, ჩამწკრივებულნი სუფთა  
თაროზე. თვითონ თარო ძორთული იყო ფერად-  
ფერადი ქაღალდით, რომელზედაც სხვა და სხვა სა-  
ხეები იყო ამოჭრილი. ჩვენ სევით და ჩვენ ჰირდა-  
ჰირ თაროებზე ჩამწკრივებულნი იყვენ ბევრი სპილენ-  
ძის ქვაბები, ჩაიდნები, სამოვარი და ორი ევაბდანი.  
როგორც კი აღარ დაეჭირდებოდით გაკვეშებდდენ.



უნდა გენახათ რა ლაზღაში გაჭქონდათ ზოგიერთ  
 ჩემ ამხანაგებს! არ ვიცი როდისმე გინახავთ თუ არა  
 ახლათ გაწმენდილი სამოვარი, მერწმუნეთ იმაზე  
 ღამისი ქვეყანაზე არა იქნებარა.

— ვითომ? — გაკვირვებით უთხრა დაქანგულმა  
 ლურსმანმა. — უთუოდ იმაზე ღამისი არ იქნება, რო-  
 გორიც არის ახალი კლიტე. მე მთელი ჩემი სიცო-  
 ცხლე ერთ ამისთანა კლიტეში ვიყავი ჩარჭობილი  
 და კარებს ვიძაგრებდი.

— ბოლოს ძანც ნაგვის ეუთში ამოგაყოფინეს  
 თავი... — გაწვევტინა სიტუვა გატეხილმა თისის ჯამმა.

— განა ცუდ ადგილას ვართ? — ჰკითხა ნახშირის  
 ნატეხმა, რომელიც ამ ღაზარაკს გულმოდგინეთ ეურს  
 უგდებდა.

— მშენივრობაა, რაღა! — სიცლით მიუგო ჯამ-  
 მა, — ეველაფერს, რაც გამოხადევი არ არი აქა ჰერთან.  
 რა კაი ჯილდოა იმათთვის, ვინც მთელ თავის სი-  
 ციცხლეს ადამიანს ემსახურება! თითონვე გაგვტყენ  
 და მერე თითონვე გადგვისვრიან. აი თუნდ მე — წე-  
 ლიწადზე მეტია სამხარეულოში ვემსახურები, — ხან  
 ეინულს ჩაგდებდენ ჩემში და სიცვიისაგან მოვიკუმ-  
 მებოდი, ხან დულარეს დამასხამდენ და მეტი სითბო-  
 საგან გავგანიერდებოდი. ნუ კი გკონიათ, რომ ავრე  
 ადვილი იყოს ხან გავანიერება და ხან შეკუმშვა.  
 ერთხელ კინაღამ ვამსხვერვლე თავი: ფანჯრის კარეთ,  
 სიცვიეში, გამომიტანეს და მთლათ გავიყინე, მერე



უცაბათ შემოძიებანეს სახლში და ზედ დულარე დაძა-  
 სნეს. იცით რა მოხდა? ძრომი სითბოსაგან დაიწყო  
 გაგანიერება, გვერდები კი ისევ ისე გაუინული მქონ-  
 და და უშლიდა ძროს გაგანიერებას. მე რომ მინა  
 ვუფილავივამ ნამდვილათ გავტყუდებოდი. მაშინ გა-  
 დურნი უბედურებას, მაგრამ ამ საში დღის წინეთ  
 საჭმლის გამკეთებელი დედაკაცი თაროზე რაღასაც  
 ეძებდა, ვადმოვარდი და რასაკვირველია გავტყუდი. იქ  
 რაღას დამაუენებდა, სანაკეში ვადმისროლა. სედავთ  
 ერთგული სამსახურისთვის ბედა რა მარგუნა!

— წარმოიდგინეთ, ჩემი უბედურებაც საჭმლის  
 მკეთებელი დედაკაცის ბრალია,—თქვა ლურსმანმა და  
 ნაღვლიანათ თავი ჩაჭკიდა,—ის რეცხდა კარებს და  
 თავის დაუდევრობით კლიტუც და მეც სველი მიკვა-  
 ტოვა უნდა გითხრათ რომ ჩვენ, რკინეულობას,  
 წყალი ძალიან გვავენებს, მთლათ წყალი კი არა,—  
 წელის ერთი ნაწილი...

— როგორ თუ წელის ნაწილი? — გაკვირვებით  
 იკითხა ნახშირის ნატენმა.

— საქმე იმაშია, აუხსნა ლურსმანმა, რომ წყალი  
 ორი მეგობრისაგან შესდგება, ერთს ჭკვიან მკაზ-  
 ბადე, მეორეს წყალ-ბადე და ამ ორ მეგობარს დაარ-  
 ქვეს წყალი. აი, მაგალითათ როგორც კვერცხშია  
 ცილა და ევითელი გული. ორივეს ერთად ეძახიან  
 კვერცხს. ხოლო განსხვავება იმაშია, რომ კვერცხში  
 ცილას ცალკე სედავთ და ევითელ გულს ცალკე.



წუაღში კი ვერ გაარჩევთ მის ნაწილებს, ერთმან-  
ერთში არიან არეულნი. ისე, რომ როდესაც წუაღი  
კლიტეზე და მაშასადამე ჩემსედაც დარჩა, მაშინვე  
მუაგ-ბადე მოსცილდა თავის ამხანაგს და გაჩერდა  
სვენზე. ორივენი—კლიტეც და მეც გავწითლდით, გა-  
ვევითლდით ე. ი. როგორც ამბობენ ჟანგი მოკვეკიდა.  
როგორც კი ჟანგი მოკვეკიდება, ადამიანები უკარგი-  
სათ გვთვლიან. კლიტე მოხსნეს და მისცეს განსაკეთ-  
ბლათ, მე კი სანაკვეში გადამისროლეს.

— რა იქნა მუაგ-ბადეს მეგობარი, რომელსაც წუაღ-  
ბადე დაარქვით? — ჰკითხა ნახშირის ნატეხმა.

— როდესაც ის მარტო დარჩა, ძაღლა, ძაღლა  
ავიდა ისე, როგორც სამოვრის ორთქლმა იცის.

ნახშირის ნატენი და თიხის ჯამი ჩაფიქრდენ,  
მკრე ჯამმა უთხრა:

— ბატონო ლურსმანო, თქვენი ნაამბობი ძალიან  
საუურადღებოა, ხოლო ვერ გაშიგია, რატომ მუაგ-  
ბადემ მიატოვა ამხანაგი და თქვენ მიგვეკედლათ.

— ეკ გრძელი და დაუსრულებელი ამბავია,—  
უპასუხა ლურსმანმა,— მაგრამ მინც გაამბობთ. ძველ  
დროიდანვე რკინა და მუაგ-ბადე ითვლებიან გაუ-  
ყრელ მეგობრათ. მთიან ადგილებში, დედამიწის სი-  
ღრმეში ისინი ერთად ცხოვრობენ და იმათ რკინის  
მადნეულობას ეძახიან. ეს მადანი ისეთი ბრჭყვიალა  
და მაკარი არ არი, როგორც ნამდვილი რკინა. რო-  
დესაც ადამიანმა ამოიღო დედა-მიწის გულიდან რკი-





ნის მადანი, მაშინვე მოაცილა მუჟა-ბადე, რომ მარტო რკინა დარჩენილიყო, ამ რკინიდან ბევრ რასმეს აკეთებენ: დანებს, ცუღს, გასაღებებს, ლურსმნებს და ბევრ სხვა რამეებს. მაგრამ მუჟა-ბადეს ძალიან უყვარს რკინა და მათი განშორება აგრე ადვილი არ იყო. ამიტომაც ადამიანმა ხერხი იხმარა. დიდ ქურაში შედო რკინის მადანი, შემოდან ნახშირი დააყარა და ისეთი ცეცხლი შეუკეთა, რომ მადანი ნახშირის წყალბით ძალიან გახურდა.

„როგორც კი ნახშირი გაღუვდა, მას მოსცილდა ბატარ-ბატარა ნატეხები და გაჭქრენ ძალა საკვამლეში. უნდა გითხრათ, რომ როდესაც ვინმე გარბის მუჟა-ბადეს უყვარს უგან გამოდგომა, და აი ამ ჰატარო ნახშირის ნაფხვენს გამოუდგა, ავიდა ისიც ძალა და გაჭქრა ჰაერში ისე, რომ ქურაში მარტო რკინა დარჩა. მუჟა-ბადემ რაკი დაჭკარვა მეგობარი შეუერთდა წებლ-ბადეს და ასე გაჩნდა წეალი. მას აქეთ ის მაინც ცდილობს უოველთუის ისევე შეუერთდეს თავის ძველ მეგობარს, ამიტომაც როდესაც რკინაზე წეალი დარჩება, მაშინვე მუჟა-ბადე მოეკიდება მას და ჟანგავს. ადამიანებს არ უყვართ ჟანგი.

— მაგ მუჟა-ბადემ მეც ბევრი ვაი-ვაზლასი გამომატარა, — წამოიძახა ნახშირის ნატეხმა, როდესაც მოისმინა ლურსმნის ნაამბობი, — ერთ დროს ეგ ძალიან მიუვარდა! მე ხომ უწინ ხე ვიუაზ და ტუქში ვისრდებოდი. მაგ მუჟა-ბადეს ჰეავს კიდევ სხვა მე-



გობარი, რომელსაც ჭკვიან აზოტი და ერთი სუკი თებულნი შეადგენენ ჭაერს. ჩემი ფოთლები მუდამ ჭაერიდან მკაჟ-ბადეს იკრეფდენ, სწოვდენ და მკაჟ-ბადესაც უეუარდა ჩვენთან შეერთება. მე ისე ვსუნ-თქავდი, როგორც ადამიანი სუნთქავს. მერე მე მომ-ჭრეს, ნაჭერ-ნაჭრათ მატციეს და ისე შემადგეს ქუ-რამი. მერე იცით რა გადამხდა თავს? როგორც კი ცეცხლი გაღვივდა, მკაჟ-ბადე მომვარდა, ნაჭერ-ნა-ჭერი ჩამომაცალა, ალათ მატცია და მალლა თავისთან ამიტანა. ბოლოს აი რას მხედავთ, ნახშირის ნატე-სათ გადავიქეცი.

— რა სამაგელი რამ ეოფილა ეს მკაჟ-ბადე, — შეჭევირა გატესილმა ჯამმა, — ჩემთანაც უნდოდა დამე-გობრება. მე უნდა მოგახსენოთ თისიდან და წელი-დან მომამხადეს, მერე განამრიბათ გამომიტანეს. წყალს უსათუოდ ეს არ მოეწონა, ორთქლათ იქცა და მალლა ავიდა. კიდევ კარგი, რომ ორივენი მკაჟ-ბადეც და წყალ-ბადეც მომშორდენ.

— თქვენ, ბატონო ჩემო, მკაჟ-ბადე არ მოგეკა-რებოდათ, მკაჟ-ბადეს არ უეუარს თისა

— მადლობა ღმერთს, უფრო კარგი, — უზახუნა ჯამმა, — მე იმედს არ ვკარგავ, რომ ვინმე მინოვის, დამაწებოებს და ისევე სამხარეულოში გაუხნდები.

— არც მე ვკარგავ იმედს, რომ ვისმეს გამოვად-გები, — წამოიძახა დაქანგულმა ლურსმანმა, — სამხარე-ულოში ხშირათ სჭირდებათ ლურსმანი, ურიგო არ





იქნება მომისძარონ, ძეგადრე როდესაც ახალი ლურ-  
სმანი სეღთ არა აქვთ!

— ბატონებო, მეც არ დამავიწყოთ, როდესაც  
განხდებით სამხარეულოში. მოაგონეთ ჩემი თავი სა-  
ჭმლის გამკეთებელ დედაკაცს, რომ მეც გამოსადეგო  
ვარ,— წამოიძახა ნახშირის ნატეხმა,— სამოვრის გასა-  
ხადებლათ დაუჭირდები

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — უპასუხეს  
ერთ ხმათ მისმა მესაუბრებმა.

სამიუენი დამეგობრდენ და ელოდენ — როდის იქ-  
ნება რომ აუსრულდეთ თავიანთი სურვილი.

ანასტასია წერეთლისა.

(თარგმანი)



# მეგაზეთე ვასო.

(რუსულით)

## I



მეგაზეთე იაკობმა სელის მოძვერლებს და-  
ურეგა გაზეთები, დაბრუნდა სახლში და  
სადილის საჭმელათ ემსადებოდა. საღა-  
მოს ექვსი საათი იყო, იაკობი იშვია-  
თად ბრუნდებოდა ხოლმე სახლში ამასე  
ადრე. სადილის საჭმელის მაგიდას უკვე  
შემოსსდომოდენ მისი ბავშვები: ორი ქა-  
ლი—ექვსისა და ოთხი წლისა და იაკობის  
ცოლი ავდოტია.

ის იყო იაკობი ჯდებოდა სკამზე, რომ შემოეს-  
მა ხმა, ვითომ ვიღაცა კარებს ებღაუჭებოდეს.

— ეურმა იქნება, — სთქვა გაჯავრებით ავდოტიამ,  
— დაწვევლილი ძაღლია! მთელ დღეს დარბის და  
საჭმელს დაეებს.

კარებსე სელების ბღაუჭი მანც მოისმოდა. მო-  
თინებიდან გამოსული ავდოტია წამოვარდა ხეზე,  
მოავლო სკამზე დაგდებულ თოკს ხელი და კარების-  
კენ გაეძურა.





მეგზეთუ ვასო.

— ესეც შენ!—დაიფიქრა მან და მადლის საცემად თოკი მოიქნია.

ციბეხე კი მადლის მავიჯრათ ნატარს ბავშვი იდგა, ასე ექვსი ან შვიდი წლისა. ტალახით გათხუზულ ტანისამოსზე ეტყობოდა, რომ შორის გზიდან მოდიოდა.

— რისთვის მოსულხარ აქ?—გულმოსულად შეკითხა ავღოტია ბავშვს.

— მე... ბიძისთან... აქ არის ბიძია?—წაიღაპარაკა ბავშვმა და უკან დაიწია ავღოტიას ვკირილით შემინებულმა.

ღიანახლისს ეგონა, ეს ბავშვი უსათუოდ მათხუარნი ან ქურდი იქნებოდა და მოჭევა თავისებურათ ქურდებისა და მათხოვრების ღანძლავს. ის იყო კარები უნდა შეეკეტა კიდევ, რომ კარებსე თითონ იაკობი მოადგა.

— რომელ ბიძას ეძებ?—ძრისხანეთ ჰკითხა მან ბავშვს.

— ბიძია იაკობს,—შიშით მიუგო ბავშვმა.

— ბიძია იაკობი მე ვარ... რა საქმე გაქვს ჩემთან?

— დედამ გამომკვანა... წყრილიც გამომატანა... ხმის კანკალით ამბობდა ბავშვი.

იაკობი ციბეხე გამოვიდა, მკრთალ სინათლეზე დააცქერდა ბავშვის ჰირისახეს და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— შენ, სოფელ მუხიანიდან რომ არა ხარ, ბავშვო?

— კი, მუხიანიდან,—სინარულით მიუგო ბავშვმა,



რომელიც უცებ გამოცოცხლდა თავის სოფლის სხე-  
 ნებაზე.

— იქნება ჩემი დის შვილი, ჰატარა ვასო ხარ?  
 ჰკითხავდა გაკვირვებული იაკობი.

— ვასო ვარ! — წაიღაზარაკა ჰატარა ბავშვმა და  
 სახეზე ღიმილმა გაჰქვრა.


— ჩვენი შორეული სტუმარი! — ამბობდა გაკვირ-  
 ვებული იაკობი, როცა ბავშვი სახლში ძეჭეავდა.  
 დისწული სკამზე დასვა და დაწვრილებით დაუწყო  
 სხვა და სხვა ამბების გამოკითხვა. ბიძამ ჰკითხა,  
 სოფელში ხომ ეველანი კარგათ არიანო და აქ რის-  
 თვის გამოგვსავნა დედამაო. ვასომ უამბო ბიძას  
 ეოველისფერი. უთხრა, თუ როგორ წამოჰყვა სო-  
 ფლიდან ერთ ქალაქელ კაცს, რომელმაც თქვენ სა-  
 ხლამდის მომაცილა და ძერე წავიდაო. დედამ მის-  
 თვის გამოგვსავნა ქალაქში, რომ სოფელში წელს  
 ცუდი მოსავალი, ეო და აქ იქნებ ვირჩინო რო-  
 გორმე თავი. სოფელში კი ეველანი კარგათ არიან,  
 მხოლოდ დიდება გარდაიცვალაო.

ამბების გამოკითხვა რომ გაათავა იაკობმა, ვასო  
 სადილის საჭმელ მაგიდასთან დასვა და თითონაც  
 გვერდს მოუჯდა.

— აბა, ჩემო ჰატარა სტუმარო! ვინადილეთ, —  
 უთხრა იაკობმა ვასოს და თან ცალი თვლით ავდო-  
 ტიასაკენ იცქირებოდა

ავდოტია ხმა ამოუღებლივ მივიდა მაგიდასთან,





დასჭრება ჰური სტუმარისთვის და თავის ჰატარა ქაღალს  
სის კოფისი გამოართვა სელიდან ვასოსთვის მისცა-  
მაღ, რადგან შედგეტი კოფისი აღარ ჰქონდათ. ჰატარა  
ქაღალს საშინელი ტირილი მორთო; წამოხტა ხეზე  
და საწოლზე ჰირქვე დაემხო. იაკობი გაუჯავრდა,  
მაგრამ ის უფრო უძბტებდა ტირილს. ვასო კი ვერ  
ამხეგდა, მისკენ მიმართულ, ავდოტიას მრისსანე  
თვალეხს, არც ბიძაშვილის ტირილს აქცევდა უურბ-  
ლებას და მადიანათ შეექცეოდა სადილს.

II



სადილის შემდეგ ავდოტია სამხარეულოში გა-  
ვიდა. იქიდან მოისმა ქოთნების რახარუსი, ეტეობო-  
და ცუდ გუნებაზე იყო და თავის გულის ჯავრს  
ქოთნებზე იერიდა. სამხარეულოდან რომ დაბრუნდა,  
იაკობი ვასოს მოტანილ წერილს კითხულობდა. წე-  
რილი დიდი ასოებით იყო დაწერილი; ეტეობოდ  
ბავშვის დაწერილი უნდა ეოფილიყო.

იაკობმა წერილი გაათავა და ვასოს ჰკითხა:

- ეს წერილი თქვენ ვის დააწერინეთ?
- მე დაწერე, — დინჯად მიუგო ვასომ.
- ააა! — გაუკვირდა ბიძას, — მაშ, შენ სკოლაშიაც

სწავლობდი?

- ვსწავლობდი...
- თვლაც იცი?
- ვიცი...



79900



— აბა დაითვალე! — უთხრა იაკობმა და თან ქისიდან რამოდენიმე ვერცხლის ფული და გროშები ამოიღო და მაგიდაზე დაუწა.

ვასო დაკვარვებით თვლიდა ცოტა ხანს და სულ რომ გადათვალა ბიძას უთხრა:

— ორი მანეთი და სამოცდა ცხრა კანკიკი არის...

— ეოჩად! ეოჩად! შეაქო ბიძამ თავისი ჰატარა დისწული.

ავდოტია უსწავლელი ქალი იყო და ეოველთვის შურის თვლით უცქეროდა სოლმე იმათ, ვინც კითხვა და თვლა იცოდა და გულში გრძნობდა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა თითონაც რომ სცოდნოდა. ესლა გაშტერებული შესცქეროდა თვალებში ჰატარა ვასოს და თან ფიქრობდა: მე დაბადებიდან ქალაქში ვცხოვრობ, განათლებულ ხალხთან ვიუავი მოსამსახურეთ და არც კითხვა ვიცი და არც თვლაო; ეს კი, ვილაც სოფლელი ტეტია, სწერს და თვლაც იცისო. იაკობმა, თითქოს ავდოტიას გაჯავრება სურსო, მოიტანა გასეთის ძველი ნომრები და მისცა ვასოს წასაკითხავად.

— „ახალი დროება“... „ახალი ამბები“... ხმა ძაღლა და გარკვევით კითხულობდა ვასო.

— ეოჩად! ეოჩად! — აქებდა იაკობი ვასოს და თავზე ხელს უსვამდა.

— ეს არი რაღა, მოხელეთ დააევენებენ! — სთქვა





ზისლით ავდოტიაში, რომელიც შურინი თვალთ  
შესცქეროდა ვასოს, როცა ის გაზეთს კითხულობდა.

იაკობმა არაფერი არ უპასუხა ცოლს და ისევ  
პატარა ვასოსთან ბანახობდა. როცა ბავშვებმა და ჰა-  
ტარა სტუმარმა დაიძინეს, ავდოტიაში პირდაპირ გა-  
მოუცხადა ქმარს, რომ „მეტი მჭამელის“ შენახვა და  
სასწრაფობა მათ არ შეუძლიან და რაც შეიძლება  
ძალე უნდა თავიდან მოვიშოროთ ეს ბავშვიო.

— მე მაგას ტანსაცმელს ჩაგაცმევ და გაზეთებს  
მივატანინებ სოღმე გაზეთის ხელის მომწერლებთან  
და მე კი დავდგები სადმე კარგ ადგილას გაზეთების  
გამყიდველათ... ერთბაშად გადსწევიტა იაკობმა.

ავდოტია ძალიან გაკულისდა. გულმოსულმა  
უთხრა ქმარს: მე წავალ და ისევ მოჯამაგირეთ და-  
ვდგები და შენ ჩამოიუვანე აქ თუნდა მთელი სოფე-  
ლი და ასასწრაფო. იაკობმა სათითოდ ნათლათ  
აუხსნა ავდოტიას, რომ ვასო სამჯერ მეტს მოგვიტანს  
რაც თითონ დასჭირდებაო. ამან ცოტა დაამშვიდა  
ავდოტია.

### III

მეორე დღეს ვასოს უვიდეს იაფ-ფასიანი ახალი  
წილები და ქუდი; ცოტა ხანში უნდა შეეკერათ მის-  
თვის მეგაზეთთა ფორმის ტანსაცმელი, რადგანაც  
იაკობს უფორმოთ ვერ მიჭყავდა გაზეთების გასას-  
ყიდლათ. სანამ ტანსაცმელს შეეკრავდენ, ვასო ბიცო-



ლს ავდოტიასთან იყო და მას ემბარებოდა სოლმე შინაურ საქმეებში. ერთხელ ავდოტია ბახარში წავიდა სანოვაგეს სასყიდლო და ვასოც თან წაიყვანა. ბაჩარა ვასოს თავის დღეში არ სცდია წაღები და, რასაკვირველია, როგორც გამოვიდა თუ არა მოყინულ ქუჩის ქვაფენილზე, ფეხი აუცურდა და დავარდა. ადგა, გაიარა ცოტა და კიდევ დაეცა.

— შენ აქ ეინულზე ცურაობა მოინდომე? ჯერ ადრეა, ვეველიერი არ მოსულა, — დაცინვით ეებებოდნენ შეეტლეები.

— შე საცოდო! ნამდვილი ჩერჩეტი, ტეტია სოფლელი ხარ! სიარულიც არ იცი? — უჯავრდებოდა ვასოს ავდოტია.

დავარდნის დროს ვასომ სელი იღრძო და ორჯერვე თავიც მაგრათ დაჭკრა ქვაფენილზე. როცა იაკობი საღამოზე სახლში დაბრუნდა, ვასომ უამბო ფოველისფერი რაც იმ დღეს შეემთხვა იმ იმედით, რომ ბიძას მანც შევეცოდებო. ბიძამ კი სიცილი დაიწყო.

— მეც ეგრე ემბარებოდა ჯარში რომ წამიყვანეს... ანუგემა ბიძამ ვასო. — როცა მიდიხარ, ფეხის ქუსლები მაგრათ და გაბედულათ დაადგი სოლმე... ნუ გეძინია, მიეჩვევი...

#### IV

ბიძას ფოველ დღე დაჭეკდა ვასო, როცა ცახეთების ჩამოსატარებლათ წავიდოდა და უჩვენებდა სოლმე.





მეგაზეთე ვასო.

იმ სახლებს, სადაც შემდეგ მარტო თითონ უნდა წაე-  
ლო გაზეთები. ვასო ძალიან ცდილობდა ქუჩების და  
სახლების დანახსოვრებას, მაგრამ ჰირველათ ძალიან  
უძნელდებოდა. ქუჩები და სახლები ისე გავდენ ერთი-  
მეორეს, რომ არაფრით არ განირჩეოდნენ.

— არაფერია!.. მიეჩვევი... — გაამხსენებდა ხოლმე  
ბიძა იაკობი. მართლაც ვასო თან და თან მიეჩვიდა  
სახლების გარჩევას ერთი-მეორისაგან და ერთ მძვე-  
ნიერ დღეს მარტო წავიდა გაზეთების ჩამოსატარებ-  
ლათ. ჰირველად საქმე კარგად მიდიოდა. ვასო სია-  
რულის მაგიერ სულ დარბობდა და ძალეც ჩამოატა-  
რებდა ხოლმე გაზეთებს ხელის მოძწერლებთან.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბიძამ ვასოს ზედმეტი  
გაზეთები მისცა და უბრძანა, რომ ქუჩაში გაეყიდა.  
ვასო გაბედულათ შეასტებოდა ხოლმე კონკას და  
გულმოდგინეთ ევიროდა: „გაზეთი! ახალი გაზეთი! არ  
გნებავთ?“ სანამ ეყვალა ნომრები არ გაეიდა, სახლში  
არ დაბრუნდა. გასარებული მირობდა ვასო ბიძის სახ-  
ლისაკენ და თან ჯიბეხედ ხელს არ იძორებდა, ფუ-  
ლი არ მოძებრონო.

— სუეკვლა გაევიდე, სუეკვლა, — სახლში შემო-  
სვლისათანავე დაიფვირა ვასომ, რაც სმა შესწევდა.

იაკობს სადილი უკვე ეჭამა და ეძინა. ავდოტია  
კი რაღასაც ჰკერავდა. ვასოს ვვირილმა ის კენებ  
შეაძინა და მერე, როცა გაიგო რაშიადა ეყო საქმე,  
გაბრაზებულმა ერთი აშბავი დაუწია საბრალო ვასოს.



— რას ღრიალებ შე უგუნურო, ტეტია? აქ სოფელი ხომ არ გკონია?! — გაუჯავრდა ავდოტია ვასოს.

ვასოს სინარული ძაღე ჩააქრო ამ სიტყვებმა; სიმძილი კი თან და თან ძლიერ აწუსებდა, დილას აქეთ არაფერი არ ეჭამა ამ საბრალო ბავშვს. ვასოსმა ამოუღებელი მივიდა და კუთხეში დაჯდა ვასო უცდიდა აბა, აგერ მეტევის ბიცოლა, მოდი სადილი ჭამეო, მაგრამ ავდოტია არხეინათ განაგრძობდა თავის საკერავს. იაკობმა რომ გამოიღვიძა, თავის ჰატარა თანაშემწეს განხეთებიდან აღებული ფულის ანგარიში მოსთხოვა და, რომ გაიგო, ეგულა გაუვიდია, ქება დაუწყო ჰატარა დისწულს.

— ბევრი მოუპარავს? — უცებ ჰკითხა ავდოტიამ.

ვასოს ძალიან შერცხვა; სირცხვილით ჰირისახე მთლად აენტო — აეტკრიცა.

— ერთი გროძიც არ მომიპარავს; სულ აქ მოვიტანე რაც ავიღე! — აკანკალებული ხმით ჩილანპარავს ვასომ.

— ძავას ეურს ნუ უგდებ, — გულმოსულათ თქვა იაკობმა, — შე ვიცი რამდენი ნომერი განხეთი მოგეცა და რამდენი ფულიც უნდა მოგეტანა...

ამ სიტყვებზე უფრო მეტად გაცხარდა ავდოტია:

— შენზე ან კი რა მეტქმის! შენ ეოველ ქურდს დაიფარავ; დამაჯერებ, რომ მთელი დღე ბავშვი მძიერი იქნებოდა და არაფერს იყრდიდა?





მეგაზეთე ვასო.

— მე არაფერი არ მიყიდა, — იხართლებდა თავს ვასო.

ავდოტია მანც თავისას არ იძლიდა. ვასო სადილიც არ აჭამა: მეორეთ სადილის ჭამა ვის გაუგონიაო. ავდოტია არ იყო ცუდი ხასიათის ქალი, მგრამ სოფლელი ხალხი კი საშინლათ სძულდა. მისი ახრით, უკულ სოფლელები ქურდები, ლოთები და კაცის მკვლელები იყვნ. ამიტომ ის გაუბეცებოთ თვალს ადევნებდა ვასოს მოქმედებას.

ბ. ვეფხვაძე.

(დასასრული შემდეგ)



## როგორ ღაიფარა ობობამ თავისი ქსელი.



ობობამ ერთ აივნის კუთხეში გააბა ქსელი. ერთხელ ატედა გრიგალი, ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ობობას ქსელი გაუფუჭდა. აივანი ზემოდან გადაფარებული იყო, მაგრამ ქარმა ძაინც ქსელი ბევრ ადგილას დასწვევითა, ის ისე აფრიალებდა ქსელს, როგორც იალქანს გრიგალის დროს ზღვაზე.

ობობამ ქსელი არ გაასწორა, მაგრამ სხვა ხერხი ისძარა. ის ქსელის ძაფს ჩამოეკიდა და ძირს ისე ჩამოვიდა. მიცოცდა იმ ადგილას, სადაც გრიგალისაგან გატეხილი ღობის ნაფოტები ევარა და ქსელის ძაფი მიბა ერთ ნაფოტს, მერე გამობრუნდა თავის ბინაზე და თან წამოღებული ნაფოტი ჩამოჰკიდა თავის ბუდესთან.

ნაფოტი სუბუქი იყო, როგორც ბატის ფრთა და ქარი აქეთ-იქით ისვრიდა და ამითი ქსელს იფარავდა გაფუჭებისაგან.

მეორე დღეს მოსამსახურე ქალმა ნაფოტს თავი აჰკრა და ნაფოტი ძირს ჩამოვარდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ობობამ ნაფოტი მოძებნა და ისევ აღრინდელ ადგილას განამაგრა.

როდესაც დიდი ქარი ჩავარდა, ობობამ ქსელი გაასწორა და ძაფი, რომელსედაც ეკიდა ნაფოტი გადაღრღნა, ნაფოტი ძირს ჩამოვარდა და ობობამ ისევ ძველებურათ იწყო ცხოვრება.





# მეფიხის ქალი.

ზღაპარი

(ჩაწერილი ანთ. ინაშვილის მიერ).



რთს ტეეში სცსოვრებდა ერთი ღა-  
რიბი და უშვილო მეფიხსე. საბრა-  
ლო გლესი ღმერთმა არ დასტოვა  
უნუგემოდ: მეფიხის ცოლს შვილი  
ეგოლა, მაგრამ სიამოვნებას და სი-  
სარულს წვალებაც სომ თან დასდევს:  
საცოდავ, მარტოდ მეოფ მშობიარეს  
გაუჭირდა საქმე, — ტირის, ტირის  
უბედური, რომ მისი ცოდვით ირ-  
ევა ცა და დედა-მიწა, მაგრამ არ

ქნა, არ ეშველა; ვინა ჭეაზდა მას მშველელი ტეეში?  
მაგრამ მოიგლიჯა ციდაძე მსე და მთვარე და გაექა-  
ნენ მეფიხის ქოსსკენ. თან დაჭევენ მათ ვარსკე-  
ლანი და ფრინველნი. ამავე დროს უეცრივ შებძან-  
და ქოსში ორი ანგელოსი, — იმათ ამობინეს მელო-  
ვინეს მშვენიერი ქალი და კიდევ მოუნათლეს. ეველა  
იქ მეოფი იმ ქალის ნათლია იყო: მხემ დაანათლი-  
ავა ქალს თავისი სიმშვენიერე. მთვარემ უთხრა:  
„ჩემსაებრ სრული და გაბადრული სახე დაგიდგესო“.



უორანმა დალოცა: „დმერთმა ჩემ ფერი თმა და თვალ-  
 წარბი მოკცესო“. დანარჩენ ფრინველთ ალუთქეკს,  
 რომ როცა კი დაიძინებ, ჩვენ შენ გარს გეკლებო-  
 დეთ, გიზრდებდეთ, გინახებდეთ და გიგალობდი-  
 თო. ბოლოს ერთმა ანგელოზმა ასე დალოცა: „ვინც  
 წლით იზრდება, შენ დღით იზრდებოდეს; როცა იცი-  
 ნოდეს, სასესედ ია-ვარდი გეფინებოდეს და როცა  
 სტიროდეს, შენი ცრემლი თვალ-მარგალიტად იუნიუ-  
 ბოდესო“. მეორემ დალოცა: „შენი თმის ნაბანი  
 წყალი ოქროდ იქცეოდეს და შენ ფესს სიარულის-  
 თუ სიზბილის დროს მარგალიტი ჰქცეოდესო“.

მეორე დღესვე ქალმა ფესი აიდგა, — მეორე წლი-  
 სს იყო. დადის — მარგალიტი ჰქცევა, იცინის — სა-  
 ხესედ ია-ვარდი ეფინება, ატირდება — ცრემლი თვალ-  
 მარგალიტად ეფინება! გამდიდრდა, აშენდა ჩვენი მე-  
 ფიხსე, მაგრამ ფიხის წიღებასა და ქაში ცხოვრებას  
 ძანიც არ იძლიდა. — წვალებას კიდევ სიამოვნება ჰსდევს:  
 სარობს, ბედნიერობს ცოლ-ქმარი ბედნიერის ქალი-  
 შვილის ცქერით!

ერთხელ იქაური მეფის შვილი ნადირობდა იმ  
 ტყეში. მეფის შვილი გამოეკიდა ერთ მშველს. კარგად  
 გაჭილდა იგი თავის ამაღას. მშველიც დაჭკარვა,  
 დაემალა. კარვა მანძილი იარა მეფის შვილმა ტყე-  
 ტყე და უცხად შეჩერდა: იმის წინ, ცოტა მოძორე-  
 ბით, ათას-ნაირ ფრინველს მოეუარა თავი ერთად და  
 საამურად გალობდა. ერთბაშად ფრინველნი აიძალნენ





პირველსნობით მონადირემ ვერა გაიგო რა. როდესაც ფრინველნი დაიშალენ, იმან დაინახა მჯდომარე ქალი, რომელიც, ნამძინარე თვალების ფშვნეცით, წამოხტა და მოჭკურცხლა შინისკენ. ძლიერ გაუკვირდა მეფის შვილს ეს სანახავი. მოუნდა შეეტყო, ვინ იყო ის მშვენიერი ქალი, რომელსაც ასე ეაღერსებოდენ ფრინველნი. მეფის შვილი მივიდა მეფიხის ქონში და უოველივე შეიტყო იმ საუცხოო ქალის შესახებ.

შინ დაბრუნების უძალვე ემაწვილმა გამოუცხადა მშობლებს, რომ მავან ალაგას მეფიხეს ერთი საკვირველი ქალი ჰყავს და ის უთუოთ უნდა შევირთოთ. დედამამაც დასტური დასცეს.

ხელმწიფის სასლში ერთი არაბის დედაკაცი ჰყავდათ მონაწილეთ, თავის ქალით. ამ არაბის გოგოს, თურმე ნუ იტყვით, შეჭყვარებია მეფის შვილი; ამას, რასაკვირველია, ვერ აცხადებდა. აბა რა ეპიტნაჰებოდა მას, როცა შეიტყო, რომ მისი საყვარელი სხვასა თხოულობდა; ისიც კარგად იცოდა, რომ მას არ ეღირსებოდა თავისდღეში დელოულად განდობა. ამ გომბიომ იფიქრა და გადასწევიტა კიდევ, მოეკლა როგორმე საპატარძლო და თვით საპატარძლო ტანისამოსში გამოზრანჭულიყო. იმედისა ჰქონდა, რომ პატარძლად მიმიღებენ, ვერ მიცნობენო, რადგანაც ჩვეულებისამებრ სახე დაფარული უნდა ჰქონოდა.



დარბაზში საქორწილოდ ემზადებიან. შეიძინადმ  
 სასახლემდე ხალებია დაუენილი: ზატარძალი იქ ფე-  
 ხით უნდა გაატარონ და დაანახონ ხალხს, რომ ზა-  
 ტარძალს სიარულის დროს თვალ-მარგალიტი ჰქცევია.

მეფის შვილი ძაწით მივიდა მეფიხსესთან და  
 სთხოვა მას ქალი. ზატარძლის მოსართავად წაეკა-  
 ნათ არაბის გოგო.

ზატარძალი და გოგო ურეში ჩასხეს და გამოს-  
 წიეს. შუა გზაზედ რომ ივენენ, გოგომ ამოიღო ჯი-  
 ბიდან მარლი-კვერთი და მიხწოდა ზატარძალს, — დედა-  
 შენმა გამომატანა, ჩემს შვილს უგვარს ეს და გზაზედ  
 მიეო. ის კი არა თუ ეს კვერთი გოგოს წინაღვე მო-  
 ემზადებინა, ქალს წყალი მოუხდესო.

საზატარძლოს ძლიერ მოსწუურდა და უთხრა  
 გოგოს; ჩამოვიდეთ, წყალი დავლიოთო. „თქვენ წა-  
 დით და ჩვენც ვიანხლებით!“ უთხრა გოგომ ძაწიონს  
 ძაწიონი ცოტათი განცილდა და ჩამოტა ცხენები.  
 დამ. ქალი და გოგო შევიდენ ტყეში და მივიდენ  
 მდინარესთან. „ერთი თვალი ამოიღე და დაგაღვევინებ  
 წყალს“, — უთხრა გოგომ ქალსა. ქალი გაბტერდა:  
 „რას ამბობ, ქალო, თვალი როგორ ამოვიღოო?“  
 „არ ამოიღებ და არც წყალს დაგაღვევინებ!“ შე-  
 შინდა ქალს და ამოაგლეჯინა ერთი თვალი. გოგომ  
 დაღვევინა ერთი მუჭა წყალი. აბა რას ეყოფოდ  
 მარლი-კვერთს ნაჭამს ერთი მუჭა წყალი? კიდევ მო-  
 თხოვა. გოგომ ამოჰკლიჯა მეორე თვალიც, განადა



ტანისამოსი და ჰკრბ სელი საწუალს ქალსა და მის-  
ცა მდინარეს. თვითონ კი გამოიჭიმა სხვატარძლო-  
ტანისამოსში, ღისვია ჰირი-სასე და მიჯდა მდინარის  
პირს. მეუის შვილმა გაჰკ საუნა კაცი, რად დაიგვიან-  
ნესო. გაკ საუნაილმა მოახსენა, რომ გოგო წუალში  
ხავარდნილა და ჰატარძალი კი ზის იქა და ტირისო.  
რად გაეწუობოდა. ჩასვეს ტუეილ-ჰატარძალი ურემში  
და გაუდგენ გზასა, შეიდანთან რო შივიდენ, ჩამოსვეს  
გოგო საქრძომ მოჰკეიდა მას სელი და გაატარა სა-  
ლებზედ, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, რის მარგალიტი?!  
ძთელი იმოდენა ხალხი ჰირ-დაღებული დარჩა. გა-  
წილებულ სამეფოს ცივმა ოფლმა დაჰკრა. ეს ისე  
ეწინა მას, რომ ის იყო და ის დღე, იმას ცოლის-  
თვის აღარ შუსედნია. ქორწილი კი გააგრძელეს.  
დედ-მამა ეუბნება შვილს, რა დაგეძართა, როგორ  
ემცვეი ცოლს, რატომ ხმას არა სცემ, სომ ეგ არის-  
შენი გულით ნანდობი ქალიო; მაგრამ ემაწვილი  
ხმას არ იღებდა...

მეფიჩხის ქალი მიიტანა წუალმა მეუის სასახლის  
მასლობლად და წისქვილის დარში ჩაჰკედა. მეწის-  
ქვილე გამოვიდა და ნახა, რომ დარი გაეინულა  
უვითლად. სამინლად გაუკვირდა. მიიტანა ბარი და  
დაუწუო უვითელ ეინვას ჭრა. „ხელათ, ვეთაუვა, ვინა  
ხართ, არ გამჭრათ!“ მოისმა ეინულიდამ ხმა. მე-  
წისქვილემ ამოსჭრა და ნახა, რომ ეინვა კი არა  
ოქრო იყო და შიგ იწვა თვალე დათხრილი მშვე-



ნიერის სახის ქალი. ეს ოქრო და ქალი განვია ტყავში და ჩუმად მიიტანა თავის სახლში. აუშენდა მეწისქვილეს ოჯახი. ერთ სამიოდე თვის შემდეგ მან წამოჭიმა მშვენიერი სახლები.

დარდისაგან მეფის შვილი ავად გახდა. ერთხელ ის თავის ლაღათი ქალაქს გარედ გავიდა სასეირნოდ. მეწისქვილის სახლი ეუცხოვა, რა კარგადა და ძალე აუშენებიათო. ლაღამ მოახსენა, რომ ამ სახლის ჰატონმა, აბობენ, რომ მუშებს სულ ოქრო დაურიგაო. ამ სიტყვებზედ მეფის შვილს ისარვიით რაღაცა აზრმა გაუბინა. მეწისქვილეს უთხრა, სად იშოვე იმდენი ფული, რომ ასეთი სახლები წამოჭიმეო. „რა მოგახსენო, ბატონო, უცოლ-შვილო, მარტო-სელი კაცი განლაზარ; გროში გროშზედ დავადე, შენი ჭირიჲე, და ვიძოვნე ამ სახლის ანაშენებელი ფული“, მოატყუა მეწისქვილემ. მეწისქვილემ ისინი დაატარა ოთახებში, მსოლოდ ერთი ოთახი არ გაულო. მეფის შვილმა ისიც გაადებინა, შევიდა შივა და გული წაუვიდა: მისი სატროფო უგრძნობელი, თვალებ დათხრელი ესვენა ფარდაგზედ. მოასულიერეს გულშედონებული მეფის შვილი და მეწისქვილემ ეოველივე უაძბო მას, თუ როგორ იპოვა ქალი და როგორ აშენდა თითონ. ამის შემდეგ ხელმწიფის შვილი ეოველ ცისმარე დღეს ფარულად მიდიოდა იმ უგრძნობელ ქალის სახანავად. საკვირველი ის იყო, რომ ქალი თუძცა უგრძნობელი იყო, მაგრამ მკვდარს





არაფრით არა ჰგებანდა. აი გავიდა ცხრა თვეცა და ამ უგრძნობელს ქალს ეეოლა ვაჟი-ძვილი. ხელმწიფის შვილმა ეს ემაწვილი თავის დედას მიჰგვარა, — ვაზოკ და ჩვენ შევინახოთ და გავსარდოთო. დედოფალმა ის თავის რძალს მიაბარა, უშვილო ხარ და ეს ემაწვილი შენ გასარდეო. ბავშვი წამოიხარდა.

როცა მეფიხნის ცოლმა გაისტუმრა ქალი, არაბის გოგოს, როგორც იმის ქალის მოსამსახურეს, მიაბარა ერთი ბატკანი, — ამის თავშია ჩემი ქალის სულიო. თუ ბატკანი მოკვდა და დაიღუპა, ჩემი ქალიც მოკვდება, თუ არა და ჩემი ქალი არ მოკვდება, თუ გინდ ლუკმა-ლუკმა აიკუწოსო. ამის გამო არაბის გოგო ეხლა მოსვენებით არ იყო, თუძცა კი ქალი წყალში ჩააგდო, — ვაი თუ გაცოცხლდესო, ფიქრობდა იგი. და რომ ასე არ მომხდარიყო, მან მოიგონა ავადმყოფობა და იძახოდა, რომ იმ ბატკნის ხორცი მინდაო. ვინ რა იცოდა, თუ არაბის გოგოს რა განზრახვა ედო გულში! ბატკანი დაუკლეს. გოგომ თავი მოითხოვა. ბატკნა მან ეს თავი ძალვითა და იქიდან კოლოფი ამოვარდა, სწორედ ეს იქნება იმ ქალის სულის კოლოფიო, და ჩაიდო ჯიბეში.

ერთხელ ჰატარა ემაწვილმა ამ გოგოს ხელში დაინახა ის კოლოფი და მორთო ერთი სამინელი ტირილი. იმის ტირილზედ გაძოვიდენ მეფე-დედოფალი, მაგრამ ემაწვილი ვერას გზით ვერ დაახუმეს. ტირილის მიხეხი ვერ შეეტეოთ. დაუძახეს თავიანთ



შვილს, ეძაწვილი ვერ დაგვიჩუბებიაო. ეძაწვილი  
მაინც ვერ დაახუძეს. ბოლოს დასვეს ხალხისად.  
გაცოცდა ეძაწვილი და დაუჭირა არაბის გოგოს კა-  
ბის კალთები. გოგოს უფრი ეცვალა. ძეფის შვილმა  
გაიგო, რომ ეძაწვილი რასძესა სთხოვს და ეგ არ  
აძლევისო. ამოართვა გაბრახებულმა ხელმწიფის შვილმა  
გოგოს ჯიბიდან კოლოფი და მიაწოდა ეძაწვილს.  
ამან ხელების გაუბაციცებით გამოართვა კოლოფი და  
გახუძდა. კოლოფს მას შემდეგ ხელიდან აღარ უშვებდა.

ხელმწიფის შვილმა ეს ეძაწვილი ერთხელ აიყუა-  
ნა ხელში და წავიდა სასეირნოდ. ძერე, ჩვეულებისა-  
ძებრ, შევიდა ძეწისქვილესას. იქ მან ეძაწვილი მი-  
იყვანა და დაუსო გულზედ უგრძნობელ ღედანს. ეძა-  
წვილს ხელთა ჰქონდა კოლოფი, ამ კოლოფის სია-  
ხლოვის გამო, ქალი წამოჯდა. იქ მოეთ ზირველ-  
ხნობით შექმინდათ კიდე, მაგრამ შემდეგ სინარულა-  
საგან მივარდენ ქალსა და დაუწეეს დამშვიდება, ნუ  
გეძინიან, შენი საქმროც აქ არისო. დამშვიდება ქალი  
და უამბო ხელმწიფის შვილს არაბის გოგოს მტარ-  
ვალობა. ხელმწიფის შვილმა არ იცოდა რა ექნა:  
ცალკე მას არ ასვენებდა ჯავრის ამოყრა არაბის  
გოგოსი, ცალკე სწუნდა, რომ ის მშვენიერი არსება  
უთვალეოთ იყო. მაგრამ ძეფისხის ქალმა დაამშვიდა  
იგი: ჯერ ნურას ავნებ არაბის გოგოს, გამოგვადგებაო.  
დაამახებინა ძეწისქვილე, მისცა მას ერთი ხელსახოცი  
ია-ვარდი და უთხრა: ატარე ეს ქალაქში, ხელმწიფის





მეფიხის ქალი.


სასახლესთან და იბასე: „ია-ვარდი თვალზედ ვის უნდა“-თქო. ვიცი, იმ გოგოს ეჭირვება ია და ვარდი და მოცემს თვალსაო. მეწისქვილე ასე მოიქცა და მოიტანა მარცხენა თვალი. მერე გაატანეს მას ერთი ხელსახოცი მარგალიტი და მარჯვენა თვალიც მოატანინეს. შემდეგ ქალმა მიიღო თვალები თაუთაჯის ალაგას და გამთელდა სრულიად. იქ მეოფთა სისარულზედ აბა რაღა მოგასსენოთ!? გაუარდა ქვეყნად სმა, რომ მეფის პატარძლად აწაბის გოგო ეოფილაო, ნამდვილი პატარძალი კი ესლა უზოვიანო.

აწაბის გოგო რაშის კუდზედ თმებით მიანეს და ისე დაახქლურთინეს. ხელმწიფის შვილს კიდევ გადუხადეს ხელმეორედ ქორწილი, მერე ისეთი, რომ მხიარულ ხალხის კიყინით ცაში ფრინველი ვერა დგებოდა. წყალობის გაცემას სამხდვარი არ ჰქონდა. მთელი ქალაქი აივსო მარგალიტით, რომელიც პატარძლის ნაფურეზედ ჩნდებოდა, და ია-ვარდით, რომელიც ქალს სიცილის დროს პირშიდ ეფინებოდა.






# ჭკვიანი ღორი.



ვინც ამ სურათებსე სულ ჰაწია ამბავს დაძიწკრს და საუკეთესო გამოდგება, იმ ჰატარს ეძაწვილს სა-ჩუქრათ მიეცემა მარკ-ტვენის მოთხრობა: „ტასტის ძემკვიდრე და მათხოვარე“, ამბავი კი დაიბეჭდება „ჯეჯილის“ მასლობელ ნომერში.







# ტყეში.



რთ უღრან ტყეში, ჩუხჩუხა დე-  
 ლეს გვერდით, დაგრჩი მარტო-  
 მარტო. ღამე იყო მეტად ბნელი,  
 ყორანივით შავი. ირგვლივ სიჩუმე  
 მეფობდა, — არსაიდგან ხმა, არსით  
 ძახილი; დრო გამოშვებით ამ სა-  
 მარისებურ სიჩუმეს არღვევდა ნელი  
 ნიავი, რომელიც ჩუხჩუხა დელეს  
 გვერდით ჩამოურბოდა და არხვე-  
 და ხის ტოტებს, აშრიალებდა  
 ჩირგვებს, ანკარა წყალი ამ დელესი  
 ქვიდან ქვაზე გადარბოდა, კლდი-  
 დან კლდესე გადახტოდა და გა-  
 ძლიერებულად ტიკტიკებდა, გა-  
 მუღმებით ბუტბუტებდა! ყურებ

აქვეტილი, სულ-განაბული ვიჯექ ერთ ნაძვის ქვეშ და ში-  
 შისაგან ვცახცახებდი. გული მომიკლა მარტოობამ, თმები  
 ყალყზე დგებოდენ. ჯერ კიდევ საღამო იყო, საკმაო სინათლე,  
 როდესაც მოვისურვე მარტომ წამოსვლა ამ ტყის პირად სა-  
 სეირნოთ და ეხლა-კი ღამემ მისწრო. იქ ვიყავი ძმებთან,  
 მშობლებთან, ნათესავებთან; აქ-კი მარტოკა ვეგდე, შევეუ-  
 რებდი ცას, ვარსკვლავებით მოკაზმულს და შიშისაგან ეძრწო-  
 დი, ვკანკალებდი!..


 \* \*  
 \*

გაზაფხული იყო. საღამო ჟამის ღურჯად მოკამკამე ცა სიხარულით აღმიტაცებდა. მწვანით შემკული წალკოტი და ზედ მობიბინე ბალახ-ბულახები სიამოვნებას მგვრიდენ. მზე ჩასული ჯერ კიდევ არ იქნებოდა, როდესაც გაველ სასერნოთ იმ წალკოტზე, რომელიც ერთ დიდ ტყის პირად მდებარეობდა. დავიწყე სეირნობა მარტოთ-მარტომ ამ აბიბინებულ, მწვანე ბალახით მორთულ ველ-ძინდორზე და სულ დასავლეთისკენ ვიკვირებოდი. მზის უკანასკნელი სხივები თვალეზზე ბრწყვილით მეცემოდენ და შორს იმალებოდენ!.. ვცქმუტავდი, სიხარულით ცას ვეწვოდი. უცბად რაღაცამ იქვე ახლოს ხეზე შეიფრთხიალა; მივიხედე, ნაზი ბულბული წიფელზე შესრიალდა და დაიწყო გალობა. მომხიბლა ბულბულის სტვენა-გალობამ და მეც მიუახლოვდი. — წალკოტი ღკან დამრჩა, ტყეში შეველ. ჯერ კიდევ ახლოს არ ვიყავ მისული, რომ ბულბული აფრინდა და ტყეში უფრო ღრმად შეიქრა. გულში რაღაცამ გამიელვა: — იქნებ ეს არის, რომ ვეძებ. — გავიფიქრე მე და თან გავყე, ჩქარის ნაბიჯით ვიწყე სიარული. ბულბული შორს გაფრინდა, მეც გული-ყური მისკენ მქონდა; სხვას არას ვფიქრობდი, ოღონდ ის მეპოვნა, მისთვის მეცქირა და დავმტკბარიყავ.

მაგრამ იგი ვერ მოვსძებნე, გადამეკარგა. გული ისევ ამიჩქროლდა, გაიარა სიხარულმა.

— ჭუხ-ჭუხ-ჭუხ! — მომესმა ამ დროს გულ-წითელას ტკბილი მოძახილი, რომელიც ტირიფის ერთ ჩამოდუნულ შტოზე ჩამოჯდა. მიუახლოვდი, მაგრამ ვერ შევამჩნიე; ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გადაფრინდა. მეც გავყევი. იგი თხემლას შეეკედლა, მიუახლოვდი:

— ჭუხ-ჭუხ-ჭუხ! — დასძახა ისევ მკრთალი ხმით, თითქოს შეცმინდაო და შორს იწყო ფრენა. ამ დროს დასავლეთის ნიავმა დაჰბერა ტყეს, ააშრიალა იგი. ნიავმა მეც შემარხია, გაშეშებული ვიდექ და გამომარკვია, მაგრამ ამ დროს შემოქმემა შორიდან შაშვის კისკისი.





— კის-კის-კის! კის-კის-კის! — ისმოდა შორიდან შაშვის დამატყვევებელი ხმა და ნიავემა იგი ჩემსკენ მოჰფანტა. ტანში ყრუანტელმა დამიარა. — ეგ არის მე რომ ვეძებდი, — გავიფიქრე მე და გავექანე იქეთკენ, საითაც ხმა მესმოდა შაშვისა. ხმა შესწყდა. მე მისული არც-კი ვიქნებოდი იქ, სადაც ის შაში მგეგულვებოდა, რომ რალაცამ აგერ ჩემს გვერდით ჩირგვში შეიფრთხილა. მე დავაცქერდი ჩირგვს; ჩირგვს იქით ყურებ აცქვეტილი კურდღელი მიხტოდა: ლამაზი იყო, შნო-ინი; მყის შევიქენ მისგან დატყვევებული და დავედევნე. იგი უფრო ღრმად მიდიოდა ტყეში, ჩირგვიდან ჩირგვში მიხტოდა, ხან აქ აირბენდა, ხან იქ ჩაირბენდა; მეც მივსდევდი, გავრბოდი. კურდღელი დაეშვა დაღმართში, მეც დავეშვი; ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე, მაგრამ არას ვგრძნობდი, არც არაფერი მინდოდა გარდა იმისა, რომ მეც მერბინა და დავსწევოდი კურდღელს, დამეჭირა იგი, მომეხვია ხელი, გულში ჩამეკრა და მეცქირა მისი ცქრიალა თვალებისათვის, მისი ცმაცუნა ტუჩებისათვის. კურდღელი მიადგა ხევის და გადახტა; მეც მოვიკრიფე ძალ-ღონე და გადავხტი. კურდღელი მიადგა პატარა მდინარის ნაპირს და გადაუხვია, მეც გავყევი, მაგრამ ამ ღროს იგი თვალიდან გადამეკარგა. შევესდექი, დავიწყე აქეთ-იქით ყურება, მაგრამ არსიდან არაფერი ხმა არ მოისმოდა, გავტვრინე სული, მაგრამ ამაოდ! კურდღელი მაინც დამეკარგა; მან თავს უშველა. დავჯექი შესასვენებლად ერთ ჩირგვის ახლოს. ოფლი ჩამომდიოდა და მოვისურვე შესვენება!..

\* \* \*

სული ამოვისუნთქე, საკმაოდ შევისვენე. ნიავემა დამბერა და გამაგრილა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩხრ-ჩუხ! ჩხრ ჩუხ! — გაისმა ხმა კლდეზე და ჩირგვებში მოკრიალედ წყაროსი. ეს ხმა გულში ჩამწვდა. შევეკრთი, კურდღელი მეგონა, მაგრამ ამ ღროს ფიქრებიდან გამოვერკვიე და დავაცქერდი მოღუღუნე პაწია წყაროს. იგი ჩხრიალით მიხტოდა ამ პიტალო ქვებზე და არღვევდა სამარისებრივ სი-



ჩემს ტყისას, აცხოველებდა მიდამოს, სიხარულით ამკობდა არე-მარეს. მე ამ დროს ზეზე წამოვბტი; მხოლოდ ეხლა მივხვდი, რომ შევიტერ ამ ჩემთვის უცნობ ტყეში და ეხლა გზა-კვალ დაკარგული უტოლ-ამხანაგოდ, უმეგობროდ ვგდივარ აქ ამ უღრან ტყეში; ვხედავ, რომ ამ უკუნეთ ღამეში არ ძალმიძს წავიდე, გზა გავიკვლიო და შიშმა შემიპყრო!— ვაი, თუ მხეცები დამესივენ, — ვფიქრობდი და ერთ ნაძვის ქვეშ მოვიკრუნჩხე!..

\* \*  
\*

ნიავე დრო-გამოშვებით ჩამოურბენდა ამ პაწია ღელეს და ააშრიალეებდა მის ახლოს აყვავილებულ ჩირგვებს. ეს ნიავე მეც რაღაც იმედებს მინერავდა. მაგრამ იმავე ნიავე მოჰქონდა ჩემთან რაღაც სხვა-და-სხვა გულ-შემზარავი ხმები, რომელნიც ხან ქოტის შესაზარ კვილს მომაგონებდენ, ხან მგლის ღმუილს, ხან ტურა-მელათა კნავილს და შიში უფრო ამიტანდა. გულს მიკლავდა უკუნეთი, სიბნელე! ტოტების რხევა, ფოთოლთ შრიალი შიშის ზარსა მცემდენ. ყველაფერს ვემოწმებოდი, საცოდავით ვცახცახებდი. ოჰ! რა კარგი იყო მაშინ ჩემთვის სინათლე, მზის სხივები! ბრმა ვიყავი, თვალები ამეხილებოდა! — ზიზლი შენ, ზიზლი შენ, სიბნელე! რა გულ-შემზარავი ხარ! — ვამბობდი გულში და უფრო ვცახცახებდი!..

ამ დროს კიდევ გამოჩნდა შუქურ-ვარსკვლავი. სიხარულმა გადამირბინა: — დიდება შენს სიმძლავრეს შუქურავ, დიდება! — ვამბობდი მე ჩემთვის და აღმოსავლეთისკენ ვქენი პირი. აღმოსავლეთი თან-და-თან წითლად იღებებოდა. სინათლე თან-და-თან მძლავრობდა სიბნელეზე, სინათლე სჩაგრავდა წყვილადს და... აი კიდევ პირველი სხივი მზისა, აი მეორე, მესამე!.. განათდა მთელად სამყარო, სინათლე მთაში, ტყეში, ბარში! ელვარებდა მიდამო, ბრწყინავდა ვარდ-ყვავილებში ჩახუტული ნამი. მეც გადამირბინა მქმუნვარებამ, სარკესავით ამიკრიალდა გული, ამეხილა თვალები, დავინახე გზა და გავსწიე შინისკენ!



## „კიკუნ-ღეიზინ“

ამბავი იანონელი ბავშვისა, რომელმაც მინდობა შირველი ვაჭარა  
გამხდარიყო იანონაში.

მოთხრობა ჯეხუცი მურაისა.

IX. დიდა ცეცხლი. — საქველ-მოქმედო „ბენტო“ (საუზმე).



18 იანვარია. ჩრდილოეთის ცივი ქარი  
ქრის და მძვინვარებს ისეთი სიძლიერით, რომ  
ძალი გარეთ არ გამოიგდება. დილის ათი  
საათი იქნებოდა, როდესაც ქარმა უფრო უმა-  
ტა, აუარებელი მტვერი აატრიალა და დედა-  
მიწას კორიანტელი დააყენა. მართლაცა და  
კაცს ეგონებოდა ცა და დედამიწა შერყეულა  
და ამ მძვინვარე ქარისაგან ისპობაო. ამ დროს  
ქალაქის მცხოვრებლები ძალიან შეჩოჩქოლე-  
ბულიყვნენ: ხონგოს ნაწილში განუწყვეტელი  
ზარის რეკა მოისმოდა; მიზეზის გასაგებათ ყველა ცდილობდა  
სადმე მალლობზე ასულიყო და იქიდან დაენახა ყველაფერი,  
რაცა ხდებოდა მის გარშემო. მალე მათ წინ გადიშალა შე-  
მაძრწუნებელი სურათი: ღრუბლების მზგავსათ შეკუმშული,  
სქელი, უშველებელი შავი კვამლი ჰხეთგდა სახლებიდან და  
უერთდებოდა ცას.



ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც, რამდენიმე დღის წინათ, ბუნზეიმონი ექვსი კაცითა და აუარებელი ფულით წასულიყო მთებში ფიცრებისა და ხე-ტყის სასყიდლათ. ბუნზეიმონს გამგეობა კი ყველა საქმეებში ჩობეი-სენისთვის ჩაებარებინა.

ამ დროს ჩობეი-სენი ასულიყო მაღალ კოშკზედ და იქიდან გულ-მოდგინეთ ათვალეირებდა იმ ადგილს, საიდანაც ცეცხლი მოჩანდა. როგორც ცას ეტყობა, ეს ქარი რამდენიმე დღე კიდევ გასტანს და ამ ხანობაში მთელი ქალაქი ჩაინთქება ცეცხლში, რადგან, სიცხეების გამო, სახლები ერთიანთ ვახურებულნი არიანო. ეხლა კი დადგა ის დრო, როდესაც შეეძლებ ხალხიკ დაეიხსნა გაჭირვებიდან და მეც კარგი სარგებლობა ვნახო“.

ამ სიტყვების შემდეგ ჩობეი წავიდა მაღაზიაში და საჩქაროთ განკარგულება მისცა თავის მოსამსახურეებს: ახლავე თქვენ ორ ჯგუფათ უნდა გაიყვეთ: ერთი ჯგუფი უნდა დაუყოვნებლივ ფუკავავაში წავიდეს და მოიტანოს იქიდან თუჯის დიდი ქვაბი და ამ ქვაბში უნდა მომზადდეს დიდძალი ფლავი ღარიბების სასაუზმეთ; მეორე ჯგუფი კი აქ უნდა დარჩეს, მთელ სავაჭროს მაღაზიაში უნდა თავი მოუყაროს და საჩქაროთ ფუკავავაში გადავიტანოთ.

თუმცა მოსამსახურეებს უცნაურათ ეჩვენათ ეს განკარგულება, რადგანაც ცეცხლი ჯერ ძალიან შორს იყო, მაგრამ უარის თქმა არ შეეძლოთ უფროსისათვის და ზღაზნვით შეუდგნენ საქმეს. პირველ ხანებში მეზობლებსაც სიცილიათ არა ჰყოფნიდათ ეს განკარგულება. მაგრამ, ქარმა დაიწყო თუ არა ნაპერწყმების აქა-იქა სროლა, მაშინ კი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო იგინი, მეტადრე, როდესაც კანდაში და ნი ხონბანში ორ ალაგას ცეცხლი გაჩნდა.

ამ ხანობაში ჩობეიმ დაკეტა მაღაზია და რაც რამ ძვირფასი ნივთები და მებელი ჰქონდა, ურმებით ფუკავავაში გაგზავნა; ფიცრები და დიდი ხეები მიაცურებინა მდინარის მარცხენა ნაპირას, სადაც უკვე მომზადებული ჰქონდა საწყობი. ჩობეი წავიდა ყველაფრის დასათვარიელებლათ; დარ-





### კიბუნ-დეიზინ

წმუნდა რა, რომ ყველაფერი მზათ იყო, აღტაცებულმა წამოიძახა: „ჩვენი პირველი საქმეა – ხალხი შიმშილისაგან დაეფაროთო“!

იმ წამსვე დაიჭირავა რამდენიმე კული (მუშა) ფლავის დასატარებლათ. ფლავი ლერწმის ფართო ფოთლებში შეაბევეინა და ზევიდან დაიკოპი \*) დაყარა და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ათასი ლარიბისათვის მოამზადებინა საუზმე.

რამდენათაც ქარი ძლიერდებოდა, იმდენათ ცეცხლიც ღიდდებოდა: ისე სწრაფლათ მუედო ცეცხლი, რომ ხატობორი და შიბა ფერფლათ გადაიქცა. ხალხმა არამც თუ სახლები ვერ დაიფარა, ვერაფრის გადარჩენა ვერ მოახერხა; ან რას გადარჩენდნენ, როდესაც თავიანთ თავი ძლივს გადაარჩინეს და თავ-შესაფარსაც კი ვერსად, თავის ნათესავებშიაც კი, ვერა პოულობდნენ, რადგანაც ყველანი ერთნაირათ დაზარალებულიყვნენ. საცოდავებმა არ იცოდნენ რა გზას დასდგომოდნენ და ქუჩა-ქუჩა დაიწყეს ხეტიალი და საქმელის ძებნა.

მაშინ, როდესაც მცხოვრებლები ამ ყოფას განიცდიდნენ, ქუჩაში გამოჩნდა რამდენიმე კული, რომელთაც მოჰქონდათ ლერწმის მოდილო კალააა საუზმით; ერთს მუშას მალლა აკმართნა ქალაღდის დროშა, რომელზედაც მსხვილი ასოებით ეწერა: „საქველ-მოქმედო საუზმე კინოკუნი ბუნ-ზეიმონისაგან!“.

კულები ამ საუზმეს ყველას აწვდიდნენ. ყველა მამა-კაცი, დედა-კაცი, პატარა, თუ ღიდი, ყველა მიზნედილი შიმშილისაგან აღტაცებით იტაცებდა ამ საქმელს და დროებით მაინც იკლავდა შიმშილს. ჩობეიმ კიდევ დაიჭირავა რამდენიმე კული, კიდევ ბლომათ მოამზადებინა ფლავი და უბან-უბან დაარიგებინა იგი; ასე რომ სადაც კი რამდენიმე კაცი თავს მოიყრიდა, იქ იმ წამსვე გაჩნდებოდა დროშიანი კული. მთელი ქალაქი გაკვირვებას მისცემოდა და ქებით და ღიდებით იმეორებდა კინოკუნი ბუნზეიმონის სახელს.

\*) ჩვენებური თეთრი ბოლოკი.



ამ საშინელს ცეცხლს დაიმიოსების \*) მშვენიერად  
 ბიც კი ვერ გადურჩა. აზნაურებსა და მათ მოაშახტრებესაც  
 ვერსად შეეფარებინათ თავი, თავ-ზარდაცემულები თავი-  
 ანთ ბაღების კუნჭულებში მიკედლებულიყვნენ და ტყუი-  
 ლათ ელოდნენ შვებას. ამისთანა ხალხისთვის ჩობეიმ მოამზა-  
 დებინა ბენტო საგანგებოთ გაკეთებულ ლერწმის კოლოფებში  
 და გაგზავნა მათ შორის დასარიგებლათ. აქაც აღტაცებასა  
 და სიხარულს დასასრული არ ჰქონდა. მერე ჩობეიმ მათი  
 სახლები შემოაღობინა, რომ დაეხსნა ესენი ქურდებისაგან და  
 შეურაცხყოფისაგან.

ცეცხლმა ორი დღე და ღამე იმძვინვარა—ასე რომ ჩო-  
 ბეი იძულებული გახდა კიდევ რამდენივე კული მოემატებინა  
 და მრავალთ-მრავალი ფლავი მოემზადებინა დაზარალებულე-  
 ბისათვის.

ამ დროს იედოში ცხოვრობდა ერთი მეტის-მეტათ ღო-  
 ნიერი კაცი, კაშადა მატახაჩი; ის კაცი სხვათა შორის იმითი  
 იყო შესანიშნავი, რომ ჰქონდა ერთი დიდი შკაფი,  
 სიგრძით 6 ფუტი და სიმაღლით 5 ფუტი და 7 გოჯი; ამ  
 შკაფში მატახაჩი ხიფათის დროს ყველა თავის ქონებას, ასე  
 წარბოიდგინეთ მებელსაც კი, ჩაალაგებდა ხოლმე, დაჰხურავ-  
 და თუნუქით, მოაბამდა თოქსა და ამ რიგათ წამოიკიდებდა  
 ზურგზედ და ატარებდა ხოლმე. სიარულის დროს უშველე-  
 ბელ ჯოხზედ ებჯინებოდა და ხალხში ისე მოჩანდა, როგორც  
 სპილო—ფინია ძაღლებში. ყველას უკვირდა მისი სიმაღლე და  
 გზიდან ჩამოეცლებოდნენ ხოლმე. ფუკავაში მოსვლისთანავე  
 მატახაჩიმ შენიშნა ერთი დიდი ფიცარი, რომელზედაც შემდეგი  
 ეწერა.

„საქველ-მოქმედო ბენტოს დასატარებლათ საჭიროა დლი-  
 ური მუშები. მსურველს შეუძლიან მიმართოს ფუკავაში  
 კინოკუნი ბუნზეიმონის ხის საწყობს. დღეში სამჯერ სმა-ქამა  
 და დღიურათ ერთი კუან მონი მიეცემა“ \*\*)

\*) წინეთ ასე უძახდნენ ბოწყინვალე წოდებას იაპონიაში.

\*\*) ერთი დოღლარი, რუსულ ორ მანათს უდრის.



რადგანაც მას არაფერი საქმე აწუხებდა, წავიდა ადგილის სათხოვნელათ. საწყობში შეამჩნია რამდენიმე ასი მამაკაცი და დედა-კაცი, რომლებიც გაფაციცებით საუზმეს ამზადებდნენ. ერთი რიგი ფლავსა ხარშავდა თუჯის დიდ ქვაბებში, სხვები სჭრიდნენ ბოლოკს და დანარჩენნი ახვევდნენ საქმელს ლერწმის ფოთლებში. კულები მარდათ დარბოდნენ უბან-უბან და არიგებდნენ საქმელს.

მატახაჩიცი მივიდა საწყობთან თავისი განუშორებელი შკაფით და ხმა-მალლა დაიძახა:

— ეს არის ის ადგილი, სადაც დამტარებლები სჭირდებათ?

ხალხმა გაკვირვებით დაუწყო ამ უცნაურ კაცს ცქერა. ამან ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— მე კამადა მატახაჩი ვარ; მე აქ საქველ-მოქმედო მიზნით მოვსულვარ, მე მინდა ხალხი გაჭირვებისგან დავიხსნა.

როგორც ეტყობოდა, მისი რიხიანი ხმა შიგნით ოთახებშიაც შეისმა, ომ ჩობეი ამ ხმაზედ გარეთ გამოსულიყო და გაკვირვებით შესცქეროდა ამ კაცს.

— ამ კაცის დახმარება ჩვენთვის მისწრება იქნება, — სთქვა ჩობეიმ; — ამის შკაფი ძიან საქმეს გაგვიწვეს.

ამ სიტყვებზედ მატახაჩიმ მოიხსნა შკაფი, იქიდან ამოალაგა ნივთები და მიაბარა შესანახავათ; მერე შიგ ჩააწყო ფლავი, დაიჭირა უშველებელი ჯოხი და ერთი კულის თანამგზავრობით წავიდა ფლავის დასარიგებლათ.

მატახაჩი ხმა-მალლა ატყობინებდა ყველას საუზმის და-რიგებას და ხმაზედ ხალხი გაკვირვებით იხედებოდა მისკენ და გარს ეხვევოდა. მასთან მყოფი კული პირდაპირ შკაფიდან იღებდა საუზმეს დასარიგებლათ. ის საქმე, რომელსაც სხვა დროს ხუთი-ექვსი კაცი ძლივს ასწროებდა, დღეს უფრო ადრე გაკეთდა. უკან რომ დაბრუნდნენ, მატახაჩმა ამართა დროშა, ხალხი აქეთ-იქით შამოიფანტა და ისე გაიკვლია გზა.

ერთს ამისთანა ადგილს უცებ შემოესმა საშინელი წივილ-კივილი პატარა ქალიშვილისა. გაიკვლია რა იქითკენ გზა, მიწაზედ შენიშნა, ხალხის ფეხქვეშ, ჩაგდებული პატარა

ქალი, ასე თორმეტ-ცამეტის წლისა. რადგანაც მატახაჩი ძალიან გულ-კეთილი იყო, მაშინათვე მივიდა მასთან, წამოაყენა ეს საცოდავი და ჰკითხა მას: „მშობლები გყვანან თუ არა და თუ გყვანან, სად არიან იგინი?“

ქალიშვილმა ტირილით უპასუხა:

— ცეცხლი რომ გაჩნდა, ჩვენ ყველანი ვარეთ გამოცვივდით, ხალხში მე გზა ვერ გავიკვლიე და მშობლებს ჩამოვრჩი.

რადგანაც მისი აქ დატოვება სახათაბალო იყო, მატახაჩიმ უთხრა:

— შენი აქ დატოვება არ შეიძლება, რადგანაც ამოდენა ხალხი შენ ფეხ-ქვეშ გაგსრესამს. მე სამშვიდობო ადგილას წაგიყვან, თუ ინებებთ და ამ შკაფში შეხვალთ.

ქალიშვილი დასთანხმდა და კულის დახმარებით შედგრა შკაფში და პირდაპირ ფუკავაისკენ გასწიეს.

გზაზე კიდევ ერთ შემადრწუნებელ სურათს წაატყდნენ: მიწაზედ ეგდო ერთი საცოდავი დედაბერი, რომელსაც ტანისამოსი ცეცხლისაგან სულ შემომწვარი ჰქონდა. სიბრაღის გრძნობამ ნება არ მისცა მატახაჩის ამ დედა-კაცის ამისთანა მდგომარეობაში დატოვება და უთხრა კულის ესეც შკაფში მოეთავსებინა ქალიშვილთან ერთათ.

ფუკავოში მისვლისთანავე მან მოახსენა ჩობეის:

— აი მე ეს ორი ადამიანი დავიხსენი განსაცდელისაგან და ახლა თქვენ იცით, როგორც უპატრონებთ!

ჩობეიმ დიდი მადლობა გადაუხადა და დანარჩენ კულებს კი ამ სიტყვებით მიმართა:

— მარტო ბენტოს დარიგებას ნუ ჩასთვლით მოწყალეების გაცემათ; ძალიან კარგს იხამთ, თუ გზაში უპატრონოთ დარჩენილები, როგორც ეს ორია, დაინახოთ, უეჭველათ აქ მომგვარეთ ხოლმე. სთქვა ესა და განკარგულება მისცა ეს საცოდავი მოხუცი და ყმაწვილი კარგათ დაეზინავებინათ.

ამ ცეცხლის დროს, რასაკვირველია, ბევრი ბავშვი და მოხუცებული დარჩნენ ქუჩაში, იგინი უნუგეშოთ ეყარნენ და ხალხი გადად-გადმოდიოდა იმათ ისეთაც დაუძლურებულ



სხეულზედ. ამათ შველა უნდოდა და აი კულებიც, ჩობეის მიერ გამხნეებულნი, ჰკრეფდნენ ამ საცოდავებს და მიჰყავდათ თავიანთ პატრონის მოადგილესთან. ჩობეიც ყველას კარგათ უვლიდა და კულებს კი ამისთანა კეთილი საქმისთვის უხვათ აჯილდოებდა. კამადა მატახაჩი ხომ ნამდვილი გაჭირების ტალ-კვესი იყო: იგი დადიოდა ნანგრევებში, ნასახლარებში და იქიდან მოჰყავდა იქ დარჩენილი ხალხი. 600 კული მატახაჩის მეთაურობით მულამ სულ მუშაობაში იყვნენ და საუზმის დარიგების გარდა, აუარებელ დაბეჩავებულ ხალხს უყრიდენ თავს საწყობში, ასე რომ მოკლე ხანში 2800 ადამიანი გადაერჩინათ მათ.

ცეცხლი ჯერ კი არ იყო გამქრალი. ძლიერი ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქროდა და ორიოდ დღეში ხონგო, კანდა, ნიხონბაში, კიობაში და შიბა ცეცხლს სულ ერთიანათ გაენადგურებინა. ტაკანავაშიაც ახლა ისეთი ცეცხლი გაჩენილიყო, რომ გეგონებოდათ ქვეყანა იწვისო. იმ დამეს ცეცხლმა სხვა მიმართულება მიიღო; პირველი ქარი შეიცვალა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარათ, ცეცხლი უკან დააბრუნა და ოთხივ კუთხივ მოედო შენობებებს. ბოლოს, როგორც იყო, სენჯოსთან შეაყენეს ცეცხლი, მაგრამ ქალაქ იედოს კი ძალიან დიდი განსაცდელი დაატყდა: რამდენიმე დღეში ეს ქალაქი სულ განადგურდა და 108,000 ადამიანი დაიღუპა.

მართლაცა და ამისთანა გამანადგურებელ ცეცხლს, როგორც იედოში იყო, არავინ არ მოსწრებია; ახლაც კი ხალხი წყევლით იგონებს იმ საშინელობას და „ფურჩოდ-კვაჯას“ უწოდებს.

ალ. ნათაძე.

(დასასრული იქნება):

# ჩლახუნა დათუნია.

სეტონ ტომპსონისა.

IV



ულ ეს დრო რაღაც უხერხულობასა ვგრძნობდი. სულ სხვაა, როცა მარტო ხელი, უოჯახო დათვი შეგხვდება და სხვაა, როცა კბებერი, ბრაზიანი ძუ დათვი. ასეთი დათვი იმისათვისაც კი გეცემათ, რომ უნებურათ იმისი შვილი შეაშინოთ.

„რაღა მეშველება, — ვფიქრობდი მე, — ჩლახუნა რო შემოეხეტოს იმ ალაგას, საცა ვიყავ ჩამალული? იგი, რასაკვირველია, ღრიალს მორთავს, იმის დედა კი იფიქრებს, ვითომ მე ჩლახუნას ვნება მინდოდეს და ვინ არის იმის თავდები, რომ დათვმა არ დაივიწყოს ერთხელ და ერთხელ დამყარებული ამ ალაგას აღამიანსა და დათვებ შორის მშვიდობიანობა. თუ ეს ასე მოხდება, რასაკვირველია, ხიფათი მომელის!.. მაგრამ ჩემ იღბლათ კონსერვების კოლოფები მოშორებით ეყარნენ ჩემზე, ისე რომ ჩლახუნას თავშიაც არ მოსდიოდა ჩემკენ წამოსვლა.

უცბათ ჩლახუნამ წარმოიდგინა, რომ იმის დედას კაი სასუსნავი კოლოფი ეშოვნა და გაეჩანა წკმუტუნით იმის წასართმევათ; მაგრამ, იმ დროს, როცა უახლოვდებოდა დედას, მიიხედა გორაკასკენ და უცბათ შეჩერდა და თითქოს ახველებსო, ისე დაიწყო კიჟუშუნი.

დედა აშფოთდა და მოინდომა გაეგო, რამ შეაშინა იმისი შვილი.





## ჩლახუნა დათუნია.

მე მივიხედე იქითკენ, საითკენაც თვალები ჰქონდა მიპყრობილი დათვს და ვაი უბედურობავ! დავინახე უშველებელი მოწითანო დათვი. ისეთი უზარმაზარი იყო, რომ ტყავში გახვეულ მატარებელს წააგავდა.

ჩლახუნამ ერთი დაიკმუვლა და ამოეფარა დედას. ძუ დათვმა მუქარით დაიბურტყუნა და თან ბალანი ყალყზე დაუღლა.

ქალარა დათვი დიდებულათ მიემგზავრებოდა ნაკვისკენ. იმისა განიერი მკერდი და მძლავრი მიხვრა-მოხვრა ამტკიცებდა, რომ დათვი მეტათ ღონიერი უნდა ყოფილიყო.

ჩლახუნამ უფრო საცოდავთ დაიკმუვლა; მეც, სწორე მოგახსენოთ, თანაუგრძნობდი, თუმცა ჩემი თანაგრძნობა არაფრით გამომითქვამს.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ბუსხუნა მოუბრუნდა თავის პატარა შვილს და რალაც წასჩურჩულა. მე ეს ჩურჩული ასე გავიგე:

„შვილო, გირჩევნიან აი ამ ხეზე აცოცდე, სანამ მე ამას გაუსწორდებოდე“.

ჩლახუნამ გაუგონა, მაგრამ ალბათ, საშინელი ცნობის მოყვარე უნდა ყოფილიყო და სერის შორიდან დაუწყო ყურება: უნდოდა ენახა რითი თავდებოდა ეს საქმე. აჩიტომ არ დაკმაყოფილდა დახურულ ფოთლებში დამალვას, აძვრა ხის წვერზე, ამოირჩია მაგარი ტოტი, მოიკეცა ზედ, რომ უკეთ დაენახა დედა და მისი მტერი.



ჩლახუნა ამოეფარა დედას.

ტოტი იღუნებოდა დათუნიას სიმძიმისგან და ყოველ წუთს ველოდი ან ეხლა გასძვრება ტყაპანი, ან ახლა. ადვილი



წარმოსადგენი იყო, რომ მე თვითონ დამცემოდა თავს, მინ უნდა გეყურებინათ, რა უბედურობას დამაწვედა იმისი დედა. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროთ ტოტმა აიტანა ეს სიმძიმე და ჩლახუნა შერჩა ზედ.

ბუსხუნა მიეგება ქალარას. კბილებ დაკრეჭილი და ბალან აბურძგვნილი მიუახლოვდა. რამდენათაც შევნიშნე. ქალარამ ყურადღებას არ მიაქცია ბუსხუნას; ის თავისთვის მიდიოდა ნავვისკენ, თითქოს აქ არაფერი იყო.

მაგრამ, ბუსხუნა როცა უფრო ახლოს მივიდა, რამდენჯერმე დაჰკმევლა და ჩაჰკრა ძალზედ ტოტი შიგ ყურში უშველებელ დათვს. ქალარა გაოცდა, და ერთი წაკვრით გადისროლა ძუ დათვი, როგორც ერთი მუქა თივა. მაგრამ ძუ დათვი არ დამორჩილდა; წამოდგა და უფრო გაბრაზებული ეცა. აქ კი ჩაეჭიდნენ ერთი-მეორეს, წაიქცნენ მიწაზე და საშინელის ბურტყუნით, გადარეულებივით გორაობდნენ. ამ დროს ჩლახუნა ისეთის ხმით წრიზინებდა, რომ მოჩხუბრების ხმაურობა აღარ ისმოდა. მიკვირს ქალარამ ძუ დათვი, თავისი მოწინააღმდეგე, რატომ შუაზე არ გადაამტვრია! ეს იმისთვის მეტათ ადვილი იქნებოდა. ცოტა ხანს უკან დათვები გაშორდნენ, ფეხზე წამოხტნენ და გაალმასებული ერთმანეთს უყურებდნენ.

ძუ დათვს კარგა მოხვდა ჩხუბში. ქალარა თავს არ შეიწუხებდა არც ბუსხუნათი, არც ჩლახუნათი; იმას უნდოდა მხოლოდ მშვიდობიანათ ჭამა; მაგრამ დაიძრა თუ არა ნავვისკენ, ან როგორც ბუსხუნას ეგონა ჩლახუნასკენ, ძუ დათვი ისევ გამოეკიდა ახლა კი აღარ შეიბრალა დიდმა დათვმა; გაარტყა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და იქვე ახლო მდგომ კუნძს მიახეთქა. გაბრუებული ძუ კუნძს წამოეცო. მერე წამოდგა და წასვლა დააპირა. მაგრამ, ქალარა აღარ ხუმრობდა, გაჯავრებული გამოეკიდა მტერს.

ძუ კუნძს ამოეფარა და ასე რამდენიმე წუთი სდიეს ერთმანეთს. ბუსხუნას სირბილი ემარჯვებოდა და ეშმაკურათ გაუსხლტებოდა ხოლმე. ამავე დროს ჩლახუნა საშინლათ წკმუტუნებდა ხიდან. ამითი ის თავის სურვილს აცხადებდა, რომ უნდა გაეგო ყველაფერი, რაც ქვემოთ ხდებოდა.





## ჩლახუნა დათუნია.

ქალარას მობეზრდა ტყუილ უბრალოთ დევნა. დაცუკქ-  
და უკანა ფეხებზე და თითქოს ფიქრობდა როგორმე ხელ  
ახლად დასცემოდა ბუსხუნას, სანამ ეს ამ ფიქრში იყო, ბუსხუნამ  
იმ ხისკენ მოახერხა გადახტომა, რომელზედაც ჩლახუნა იჯდა.  
პატარა ხანს უკან ბუსხუნა ხეზე გაჩნდა; ჩლახუნაც წინ მიე-  
გება. როდესაც ეს ფრიად საყურადღებო სურათი ფოტო-  
გრაფიით გადავიღე, გადავწყვიტე საფარიდან გამოვსულიყავ,   
რომ უკეთ მენახა დათვები. მაგრამ, როგორც მეგონა, ისე  
ვერ მოხლა: ტოტებმა მომაფარეს ის დათვები, რომლებიც  
ხეზე ისხდნენ.

მანამ გადავწყვეტიდი, როგორ მოვკცეულიყავი, შემომესმა  
ყვირილი:

„ბატონო, უფროთხილდით! ბებერმა დათვმა არა შევა-  
მთხვიოთრა“. მოვიხედე და დავინახე სასტუმროს პატრონის  
მწყემსი. საბალახოდან მოდიოდა ცხენით და დროზეც მომისწრო.

— თქვენ იცნობთ ამ დათვებს? — ვკითხე მე.

— დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ვიცნობ,  
— მიპასუხა მწყემსმა, — ეს პატარა დათუნია, მალლა ტოტზე  
რომ ზის — ჩლახუნა, ცოტა სულელი გახლავთ, ეს დიდი —  
ბუსხუნა, მაგისი დედა მოჩხუბარი ძუ დათვია. თუ მაგისმა  
შვილმა ისე იბურტყუნა, როგორც ეხლა, მაშინ იმასთან ვე-  
ლარას გააწყობთ!

— საშინლათ მინდა მაგის სურათის გადაღება, როცა  
ჩამოვა, — ვთქვი მე.

— აი რას ვიზავ, — თქვა მწყემსმა, — მე აქ დავრჩები და  
თუ თქვენი ხელის ხლა დააპირა, გავაგდებ, ის მე კარგად  
მიცნობს!

ამ სიტყვებით მწყემსმა გამოაბა ცხენი ხის ახლოს. ბუს-  
ხუნა ამ დროს ჩამოდიოდა და მუქარით ბურტყუნებდა. მაგ-  
რამ, ჩამოვიდა თუ არა ძირს, მოულოდნელათ ტყისკენ მოჰ-  
კურცხლა და თავისი დათუნია მარტო დასტოვა.

ჩლახუნა ისევ აცოცდა ხეზედ და მოჰყო საცოდავათ  
წყმუტუნს, თითქოს ამბობდა: „უბედურობაა ჩემ თავს, უბე-  
დურობა!“



მე დავამზადე ფოტოგრაფია გადასაღებათ, მაგრამ ჩლო-  
ხუნამ უცბათ კისერი წაიგრძელა და ისეთი ყვირილი მორთო,  
როგორც თავის დედისა და ქალარას ჩხუბის დროს.

მეც გავიხედე იქით, საითაც ჩლოახუნა იყურებოდა და  
დავინახე ჩემკენ, რომ მობაჯბაჯებდა ქალარა.

მე ვკითხე ჩემს დამცველს მწყემსს:

— იცნობთ ამ დათვის?

— დიახ, ვიცნობ, — მიპასუხა მწყემსმა. — ეს არის ბებერი  
დათვი, ყველაზე დიდი ამ ტყეში. იგი თავისთვის არის და  
ხმასაც არა სცემს არავის. მაგრამ, ეხლა ჩვენ მაგას ხელს  
უშლით და არ გავგირისხდეს.

— მაგის გადაღება მსურს, — უთხარი მე. თუმცა ძალიან  
საშიშოა, მაგრამ გავბედავ, თუ თქვენც მომეშველებით.

— კარგი, დიდი სიამოვნებით, — მომიგო მწყემსმა ღიმი-  
ლით. მე აქ გავჩერდები და თუ თქვენკენ წამოვიდა, მეც  
იმისაკენ გავექანები. ამას კი მოგახსენებთ, რომ ერთხელ  
შემიძლიან გავაბრუნო, მეორეთ კი ვეღარ; ისე რომ სჯობს  
წინდაწინვე ამოირჩიოთ თავშესაფარი ხე

ახლო-მანლო იმ ხის მეტი, რომელზედაც ჩლოახუნა იჯდა,  
სხვაარ იყო. მართალიც მოგახსენოთ, სრულებითაც ბუსხუნას  
მეზობლათ ყოფნა არ მინდოდა, თუ დედას მეტადრე ჩლოახუ-  
ნას მიშველება დასჭირდებოდა, მით უფრო, რომ მეორე  
მხრით ქალარა მეყოლებოდა ჩასაფრებული.

ქალარა სულ ჩემსკენ იწევდა, მაგრამ მაინც ორჯერ მო-  
ვასწარი ქალარას გადაღება; მეორეთ რომ გადავიღე თითქმის  
ოც ნაბიჯზე იქნებოდა ჩემგან.

ამასობაში დათვი მაინც ჩემკენ იწევდა. მეც ნაგვის  
გროვაზედ დავჯექი და ვაპირებდი მესამეთ უცბათ გადამეღო.

აი დათვიც მომიახლოვდა თვრამეტ ნაბიჯზე, თქვესმეტ-  
ზე, თოთხმეტზე, რვაზე...

ამ დროს ჩლოახუნას ყვირილი უფრო და უფრო ძლიერ-  
დებოდა.

ქალარა ამ ღრიალის გავონებაზე შეჩერდა ხუთ ნაბიჯზე  
ხესთან და გაოცებულმა აიხედა ზედ. მე ვისარგებლე ამ წუ-





თით და უცბათ გადავიღე. ამ ხმაურობაზე დათვი მობრუნდა ჩემსკენ და საშინლათ გაჰყმუველა. მე შიშით ველარ ვინძ'ეო-ლი, ვკანკალებდი და თან ვფიქრობდი: „ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული“. ერთ წამს დათვი შემომამჩერდა, თვლებს ცეცხლივით აბრიალებდა, მაგრამ, იმ წამსვე მშვიდობიანათ მიბრუნდა და დასწვდა ტკბილეულობის კოლოფს!

„ნუ თუ ამას მესვრის!?!“ — გამირბინა თავში აზრმა. მაგრამ. ჩემდა საბედნიეროთ არა მოხდარა. დათვი შეუდგა კოლოფის ლოკვას და ეტყობოდა მე აღარც კი ვახსოვდი. ერთს რო მორჩა, მეორეს მიჰყო ხელი და ისე გაერთო, რომ სრულებითაც აღარ ვავონდებოდით აღარც მე და აღარც დათუნის ბურტყუნი.

მეც მოწიწებით, და აუჩქარებლივ მოვშორდი დიდებულ დათვის და ამ ნაირათ დარჩა ბურთი და მოედანი ქალარას. ჩლახუნა კი იჯდა ხის წვერზე და თავისებურათ გაჰყვიროდა.

ხოლო ბუსხუნას რა დავმართა, ველარა გავიგერა ამ დღის განმავლობაში.

პატარა დათუნია ეხლა კი მიხვდა, რომ მშველელი აღარავინა ჰყავს და თავისი თავის შველას თვითონვე შეუდგა. ჯერ ჩაჩუმდა. მერე უშველებელ დათვის დაუწყო თვალთვლება და რო დათვი მოშორებით დაინახა, ჩლახუნა მარჯვით ჩამოკურდა ხიდან, სწრაფათ ავარდა მეორე ხეზე და აქაც წვერზე მოექცა. დარწმუნებული იყო რომ აქ ვერ მიაგნებდა მას ქალარა დათვი.

პატარა დათუნის ეგონა, რომ ქალარას აზრათა აქვს იმისი მოკვლა.

დიდხანს, დიდხანს ადევნა ჩლახუნამ თვალი დიდ დათვის და როცა დარწმუნდა რომ დათვი იმას ყურსაც არ უგდებს, დააპირა მტრის გზის დაბნევა. გადავიდა ერთ ხიდან მეორეზე, იქიდან მესამეზე, ასე ნელ-ნელა შორდებოდა დათვის და უახლოვდებოდა ტყეს. ამ მოგზაურობის დროს ერთი ხიდან მეორეზე უსაოუოთ ყოველთვის ხის წვერზე უნდა მოქცეულიყო. რამდენიმე წუთის შემდგომ, როდესაც ტყეს სულ მოეფარა, ხელ ახლათ შემომესმა ჩლახუნას წკმუტუნი; მე მაშინვე მივხვდი რომ დედას ნახავდა და იმას უნებევრდებოდა.


(დასასრული შეძებებ)

მ. იაშვილისა.

# ექიმი ისააკის განსაცდელი.

რუბაკინისა.

(ძველებური წამბავი)



ალაქ რომში ოთხასი წლის წინეთ ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელათ ისააკ ჯემსი. ის იყო ურთა და ხელობით ექიმი. იმას ჰყავდა ცოლი ლია და ორი ვაჟიშვილი, ერთი ათი წლისა და მეორე მეოთხრემეტეში იდგა. ისააკი იდგა საკუთარ სახლში.

თუთხმეტი წელიწადი ისააკი და ლია მყუდროთ დაბედნიერათ ცხოვრობდენ. ლია დიასახლისობდა და შვილებს ზრდიდა. ისააკი კი ავათმყოფებს სწამლობდა. მასთან დიდძალი ხალხი დაიარებოდა, ური-

ებიც და ქრისტიანებიც, რადგან ისააკ ჯემსისავით მკოდნე და გამოცდილი ექიმი რომში არ ეგულებოდათ. ისააკი არავის უარს არ ეუბნებოდა, ყველას სწამლობდა, არ იშურებდა არც დროს და არც უშრომას. მდიდრებს წამლობისთვის ფულს ართმევდა, ღარიბებს კი ხანდახან პირიქით თითონ აძლევდა.

როდესაც ავათმყოფები არა ჰყავდა და მოიცლიდა ის ჩაიკეტებოდა თავის სამუშაო ოთახში ან წამლებს აკეთებდა და ან სხვა და სხვა ენებზე სამეცნიერო წიგნებს კითხულობდა.





ყველაზე მეტათ ისააკს უყვარდა ბუნების მოვლენებზე ზეპირად. ყველაზე უფრო უნდოდა შეეცყო, როგორ ანათებენ ცაზე მზე, მთვარე და ვარსკვლავები, როგორ იზრდებიან ხეები და ბალახეულობა, რომელი ბალახეულობა სასარგებლოა და რომელი მავნებელი, როგორ არი აგებული ადამიანის სხეული, საიდან წარმოდგება სხვა და სხვა ავთამყოფობა და როგორ უნდა წამლობა ავთამყოფობას.

ერო სალამოს ისააკი იჯდა თავის ოთახში და წიგნს კითხულობდა. უცბათ ქუჩიდან მოესმა რაღაც ხმაურობა და ყვირილი. ხმაურობა თანდათან მატულობდა ისააკმა ფანჯარა გააღო და გადიხედა. მის სახლისკენ მოდიოდა მთელი გროვა ხალხისა. წინ საკაცით ოთხ კაცს მოჰყავდა ვიღაც მოხუცებული. მოხუცებული მთლათ სისხლში იყო გასვრილი, ტანი-სამოსი დაგლეჯილი და გათხუზული ჰქონდა, თვალეხ დახუჭული იდო საკაცეზე და კვნესოდა.

ისააკმა მოხუცებული მაშინვე იცნო, ის იყო ერთი დარიბი ურია არონი.

ისააკი გავიდა მაშინვე ქუჩაში და ხალხს ჰკითხა:

— რა მოხდა?

— დიდი უბედურება! უპასუხეს:— მოხუცი არონი კვდება. კიბიდან ჩამოვარდნილა და დამსხვრეულა. ის იყო მიუსწარიტ, სისხლში ცურავდა.

ისააკმა უბრძანა, ავადმყოფი მის სახლში შეეყვანათ.

— ჩქარა! ნულარ იგვიანებთ, ამობოდა ექიმი, ღმერთი შეგვეწევა, ჩვენ გადავარჩენთ არონს.

მოხუცებული დიდი სიფრთხილით აიყვანეს კიბეებზე, შეიყვანეს ოთახში და ტახტზე მისვენეს. ექიმმა დაიჩოქა მის წინ და დაუწყო შინჯვა, ხელ-ფეხი ხომ არა აქვს მოტეხილიო. გაშინჯა და ნახა რომ გატეხილი არა ჰქონდარა, მხოლოდ ბევრ ადგილას სხეული დაღურჯებოდა. მოხუცებული რაღაც წვეტიან ქვას დასცემოდა. საბრალო ისე დაცლილიყო სისხლისაგან, რომ ის ის იყო კვდებოდა.

— უბედურებაა, დიდი უბედურებაა ჩვენ თავს! ტიროდა გარშემო ხალხი. ჩვენი საწყალი არონი გვიკვდება.



მოხუცებული ყველას უყვარდა, გულკეთილი და სამართლიანი კაცი იყო და ამიტომაც ყველა იბრალებდა და სწუხდა.

ოთახიდან ყველა გამოვიდა, ავათმყოფთან მხოლოდ ექიმი დარჩა. ავათმყოფი იწვა უგრძნობლათ, ფერმიხდილი და გაციებული, თითქოს მკვდარი ყოფილიყოს. ექიმი იდგა მის წინ ჩაფიქრებული.

ისააკი უყურებდა არონს და ფიქრობდა:

— კვდება მოხუცებული, კვდება კი კაცი! მისი მორჩენის საშუალება არ არი! სიკვდილიდან გამობრუნება საბრალოსი არავის შეუძლიან! არავის შეუძლიან დაკარგული სისხლი იმის ძარღვებში ხელმეორეთ ჩაუყენოს.

ისააკმა რაღაც ბალახების ნადუღი დააღვეინა, კრილობა შეუტკრა, მოხუცებული განაბული იწვა, არ სუნთქამდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და ხელები ძირს ჩამოეკიდა.

— არ შემიძლიან, — თქვა თავისთვის ექიმმა, — საბრალოს ასე ვერ დაეტოვებ, უნდა ვუშველო, კაცმა რაც უნდა ბევრი სისხლი დაჰკარგოს, მაინც შეიძლება მისი მორჩენა, თუმცა ძნელია კი. არონი რომ სიკვდილს გადავარჩინო დიდ ხანს ვერ მოჯობინდება. მოდი ერთი ვცდი და სხვა კაცის სისხლს შევასხამ მაგის ძარღვებში! მართალია ჯერ არავის უცდია, მაგრამ რა ვუყოთ! მე გამოვცდი, იქნება მოვახერხო და თუ მოვახერხებ, მაშინ ყველას, ვისაც სისხლი ნაკლები აქვს — მოვარჩენ.

მთელი ღამე ისააკი არ მოშორებია ავათმყოფს, მხოლოდ დილით ერთი-ორი საათით მიწვა, ადგა თუ არა მაშინვე საქმეს შეუდგა: უნდოდა შეესწავლა, როგორ გადაეტანა ერთი ცხოველის სისხლი მეორეში.

ისააკმა იცოდა, რომ სისხლის მიღები და მასრები აღმიანს და პირუტყვს ერთნაირათ აქვთ მოწყობილი. იმან დაიჭირა ორი თეთრი კურდღელი, ერთს გამოუშვა ბევრი სისხლი, მერე აიღო მეორე კურდღლის სისხლი და ჩაუსხა იმის ძარღვებში.

ამ გამოცდას მოანდომა რამოდენიმე დღე, ბევრჯელ გა-





ექიმი ისააკის განსაცდელი.

დასხ-გადმოსახსნა სისხლი. საბრალო არონი კი იწვა გონება მიხილი, ექიმი დიდ მუშაობაში იყო, სულ იმას ფიქრობდა, როგორ გადაარჩინოს კაცი სიკვდილს.

თავდაპირველათ ექიმის შრომა უნაყოფოთ რჩებოდა: კურდღელს რომ სისხლს ჩაუსხამდა, რამდენსამე წუთს შემდეგ მოუვიდოდა მანქვა და მოკვდებოდა. მაგრამ ცოტ-ცოტათ ისააკი გამოიცადა და ერთხელ მისი შრომა საკეთილოთ დაგვირგვინდა, ისე ხელოვნურათ გადაუსხა ერთ კურდღელს სისხლი მეორესაგან, რომ ორივე ცოცხალნი დარჩენ.

— დიდება ღმერთს, თქვა თავისთვის ექიმმა, — ნახევარი საქმე გაკეთდა კიდევ!

დაიწყო ხელ ახლათ გამოცდა, რომ უფრო კარგა დარწმუნებულებიყო, ერთხელ სცადა — კარგა მოუვიდა საქმე. კიდევ სცადა, — კიდევ კარგა მოუვიდა საქმე. ასე ოცჯერ მაინც სცადა და ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. მერე დარწმუნდა, საქმე გაკეთდა, მუშაობა გავათავეო, ისააკმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და თქვა:

— ვისაც ცოტა სისხლი აქვს, მისი მოსარჩენი სახსარი ვიპოვე. სისხლის გადაღება შესაძლო ყოფილა! ამაში ჩემი თვლით დავრწმუნდი, ჩემი ხელით ვცადე. მე ვცან ქეშმარიტება.

ისააკი ძალიან ახარებული იყო — ქეშმარიტება ვცანიო. მივიდა ცოლთან და მხიარულათ უთხრა:

— ლია, გიხაროდეს, მე ვიპოვე ახალი სახსარი ავადმყოფების მოსარჩენათ. მოხუცებულ არონს სწრაფათ მოვარჩენ.

და უამბო ლიას თავისი გამოკვლევა. ლიას ქმრის რწმუნება ჰქონდა და მასთან ერთათ მასაც უხაროდა.

— ხვალ არონს ახალ სისხლს ჩაეუსხამ ძარღვებში, — ვანაგრძო ექიმმა — ოღონდ ხელი არ ამიკანკალდე! ახლა მჯერა, რომ არონი იცოცხლებს და კარგათ იქნება.

— ჩემო საყვარელო — ჰკითხა ლიამ, — დარწმუნებული ხარ რომ ხელი არ აგიკანკალდება?

— რა სათქმელია, ლია, ხელში პირველათ ხომ არ ვიღებ ექიმის დანას?

ისააკმა აკოცა ცოლს და გაბრუნდა თავის ოთახში.  
 ამ დროს უცბათ მოისმა გარეთი კარის ძრეილი ბრახუნი.  
 — ეი, ვინა ხარო! გააღეთ საჩქაროთ კარი! ყვიროდენ  
 ქუჩიდან ვლაცეები.

ლია მივარდა კარს და გაკვირვებით განზე გადავა. მის  
 წინ იდგა ვილაც კაცი მდიდრული ხავერდის ტანისამოსით,  
 მის უკან კიდევ რამოდენიმე კაცი იდგა ოქროს ჯაგშანში და  
 თითბრის ქუდებით. ყველა სათითაოდ ხმლებით იყვენ და  
 ხელში შუბები ეჭირათ.

— აქა ღვას ექიმი ისააკ ჯემსი? — ჰკითხა წინამძღვარმა  
 ლიას.

ლიას ისე შეეშინდა ამ უცნობი კაცებისა, რომ ხმავერ  
 ამოიღო. რომის იმ უბნებში, საცა ურიები იდგენ იშვიათათ  
 თუ ნახავდა ვინმე შეიარაღებულ კაცსა.

— ჩვენ გამოგზავნილი ვართ, — განაგრძო უცნობმა  
 კაცმა, — მის უწმინდესობისაგან პაპი ინოკენტი მერვესაგან.  
 მან გვიბრძანა, რომ ექიმი ისააკ ჯემსი მიგვაროთ სასა-  
 ხლეში.

გაიგო ეს სიტყვები თუ არა ლია ატირდა. პაპის დაბა-  
 რება კარგს არას მოასწავებდა. წავიდა ქმართან, უთხრა,  
 რომ პაპისაგან დაბარებული ხარო, თან ტიროდა.

— რაზე ტირი, ლია? ანუგეშებდა ისააკი, — პირველათ  
 ხომ არ მივეყვარ ასეთ გამოჩენილ ავთმყოფებს.

მან გადაკოცნა ცოლი და გავიდა პაპის გამოგზავნილებ-  
 თან

— წავიდეთ, — თქვა მან, — მე მზათა ვარ.

ქუჩაში რომ მიდიოდენ, ფანჯრებიდან და კარებიდან  
 ნაცნობები უტკეროდენ ექიმს და ჰკვირობდენ, თუ რად მიპ-  
 ყავთ იგი ჯარის კაცებსო.

მივიდა ისააკი სასახლეში, ავიდა მარმარილოს კიბეებზე,  
 ერთი დარბაზიდან მეორეში გავიდა. ოთახები სავსე იყო  
 ხალხით, აქ ბერებიც ბლომათ იყვენ, დიდკაცობაც, მხედარ-  
 ნიც და ბევრნი გამოჩენილნი მოქალაქენიც. ისააკს ან სულ  
 ყურადღებას არაფინ აქცევდა, ან თავიდან-ფეხამდის სინჯავდენ.



ისააკმა გაიარა მრავალი დარბაზები და ბოლოს შეეცვანეს თვით პაპის ოთახში. ისააკმ, ჯერ ოთახი სიბნელის გამო ვერ გაარჩია. მერე დააცქერდა და ნახა, რომ ოთახი იყო უშველებელი ჩაღალი ქერით და მარმარილოს სვეტებით! მზის სხივები მისდგომოდა მაჩმარილოს იატაკს და ზედ გამოჰყავდა სხვა და სხვა სახეები. კედლითონ, სვეტებ შუა, იდგა დიდი ოქროს საწოლი, საწოლს დიბის სახურავი ჰქონდა გადაფარებული, ზედ იწვა ფერ მიხდილი, გამადარი კაცი და არ ინძვროდა. ხელოები ჩ მოშვიბული ჰქონდა, თვალები ოღნათ გახილოული. საწოლთან იდ ნენ ვილაც კაცები შავებში და დაბლა ხმით ლაპარაკობდენ.

ისააკ ჯემსი მიიყვანეს საწოლთან და უთხრეს:

— ისააკ ჯემსო, მისი უწმინდესობა ავით არის, საშიშათ ავით არის. შენ ცოდნას და შენ ხელოვნებას შეუძლია თუ არა მისი მორჩენა?

ისააკი მიუახლოვდა ავათმყოფს და დაუწყო მას სინჯვა. დიდხანს უაღებდა ყურს მის გულის ცემას. მერე ექიმებს, რომელნც ამ ს მოსვლამდის სწამლობდენ პაპის, ჰკითხა ავადმყოფის გარემოება. ამათ უთხრეს, რომ პაპს დღე ხან ავწამლობთ, მაგრამ ვერ მოვარჩინეთო. ავათმყოფობა დაგვიჯიუტდა და საშუარ შექნა. წამალი არ ეკარებაო. განჯებ მოტან ლ ეგვიპტიდან წამლებმაც კი არა უშველეს რა. ისევ ისე ავით არის, ისევ ისე უძრავათ წვეს—ეს ეს არი მოკვდებო. ერთხელ ისე წაუვიდა გული, ისე ცუდათ შეიქნა, რომ ყველას გვეგონა მოკვდაო.

ისააკ ჯემსი მიხვდა პაპის ავათმყოფობას და თავს აუნებაშ გადასწყვიტა, რომ ავათმყოფი მხოლოთ მაშინ შეიქნება კარგათ, როდესაც ძარღვებშნ მეტი სისხლი ექნება. ამიტომ პაპის მოსარჩენათ საჭიროა ახალი სისხლი ძარღვებში ჩაუშვან.

— აბა, ისააკ ჯემს, გვითხარი, იცი იმისთანა საშუალება, რომ მორჩეს მისი უწმინდესობა? ჰკითხეს ექიმებმა.

ისააკმა შეხებდა მათ და თან თავის თავს დაეკითხა:

— პაპი მოვარჩინო თუ არა? ურიებს მან ბევრი უბედუ-

რება მიაყენა, — ბევრი უმანკო სული დაღუპა. ბოროტი კაცია. ახლა რომ ვთქვა ვერ მოვარჩენ — ის ხომ მოკვდება.

ისააკმა გადახედა პაპის. იგი ფერ მიხდილი, გამხდარი საკოდავით შესცქეროდა მას და ისეთი საბრალო შეხედულობა ჰქონდა, რომ ისააკს გული აუტოკდა, შეებრალა. დიდხანს ხმას არ იღებდა, პასუხს არ იძლეოდა, სულ ფიქრობდა.

ეს ოდესმე ძლიერი, მძლავრი, ახლა უბედურია, ღონე მიხდილი, მხოლოდ ჩემგან მოელის შეველას. განა შეიძლება რომ არ ვუშველო. ეგ ხომ სხვებსავით მომაკვდავია, მისი ცოდვები მის კისერზე იქნება, მე რათ შევეცოდო, რისთვის დავმალე ჩემი ახლათ გამოგონილი წამლობა? მე ხომ ჩემი თავისთვის არ ვმუშაობდი, როგორ მოვაკლო შემწეობა ამ კაცს?

და ისააკმა უთხრა ექიმებს:

— დიახ, მე ვიცი როგორ მოვარჩინო მისი უწმინდესობა!

ექიმებს ძალიან გაუკვირდათ ამისი პასუხი. ეს კაცები თითონაც ნასწავლნი იყვნენ და ეგონათ რომ პაპის მორჩენა შეუძლებელია.

— რა საშუალებით შეგიძლიათ მისი მორჩენა, ისააკ ჯემსო? ჰკითხეს მათ.

— მის უწმინდესობას ძარღვებში ჩავუშვებ ახალ სისხლს, გაბედვით და გადაჭრით უთხრა ისააკმა.

ექიმებს კიდევ უფრო გაუკვირდათ, მათ თავის დღეში არც გაეგონათ და არც სადმე წაეკითხათ ამგვარი საშუალებით ავადმყოფის მორჩენა. მათ ეგონათ, რომ შეუძლებელია ცოცხალ კაცს ძარღვებში ჩაუშვან სისხლი. ექვი აიღეს, ურის ექიმი ტყუილს ამბობსო, უსათუოთ რაიმე ბოროტი განზრახვა აქვსო.

— საიდან შეიტყე, რომ მაგ გვარი საშუალებით შეიძლება ავადმყოფის მორჩენა. ჩვენ პირველათ გვესმის.

— მტკ არავისგან არ გამიგონია. მე თვითონ მოვიგონე და ვცადე.

— მაშ ეგ შენი მოგონებაა! იმედი გაქვს რომ საკეთილო იქნება?





მე თვითონ ვცადე. ჩემი თვალებით მიყურებია, უპასუხა ისააკმა და მე ვუჯერებ ჩემ თვალებს და ჩემ ხელებს.

— მაშ შენ კისრულობ ახალი სისხლის ჩაშვებას მის უწმინდესობის ძარღვებში?

— დიახ, სწორეთ მე ვკისრულობ რომ მის უწმინდესობის ძარღვებში ჩაუშვა წმინდა სისხლი.

ამ სიტყვებმა ააღელვა პაპის მახლობელნი, ააღელვა ექიმები, რომელნიც დიდი ხანია ისააკ ჯემს დანას უღესავდენ და თავიანთ მოქიშვით სთვლიდენ.

„რა შეუპოვრათ ლაპარაკობს ეს დალოცვილი! ხომ მართლა არ უპოვია საშუალება ახალი სისხლის გადასხმისა, ფიქრობდენ ესენი.

გადგნენ მოშორებით და ერთმანერთს ეუბნებოდენ.

— ნუ მივუშვებთ ისააკ ჯემს პაპთან, რომ ახალი სისხლი გადუღოს. ეკ თუ მოარჩენს, ჩვენთვის არაფერი სასარგებლო იქნება.

და ჩუმათ უთხრეს პაპის.

— თქვენო უწმინდესობავ, ნუ დაუჯერებთ ურიას, ვინ იცის რა კაცია!

პაპის ეშინოდა სიკვდილისა და ამ ექიმებისაგან კი სიკეთეს არას მოელოდა.

— მე ყაბულსა ვარ ჯემსის წამლობაზე.

დიდხანს აფრთხილებდენ პაპის ექიმებიც და ნათესავებიც, მაგრამ ამაოთ. პაპის ძალიან უნდოდა რომ ეცოცხლა. ჯემსის საშუალება იყო უკანასკნელი ცდა. მოიხმო პაპი ისააკი და სუსტი ხმით უთხრა:

— თუ შეგიძლია ჩემი მორჩენა, რაღას ავციანებ?

ისააკმა უპასუხა, რომ მზათა ვარო, ხოლო უნდა მომგვაროთ ისეთი კაცი, რომელიც მომცემს თავის სისხლს ავთამყოფისთვის და სახლიდანაც საჭირო საექიმო იარაღი უნდა მოვიტანო.

ექიმებმა და ნათესავებმა ნახეს რომ ველარას გააწყობდენ და უთხრეს ისააკს:

— შენ აქ დარჩი. ჩვენ კაცსაც ვიშოვით და შენ სახლიდან საექიმო იარაღსაც მოვატაინებთო.

(შემდეგი იქნება)

ან. წერეთლისა.

# ტელეგრაფი უმავთულოთ.



მარკონი.



როგორც ვიცით, დღემდე ტელეგრაფის გასაგზავნი-  
გამოსაგზავნი საშუალებათ მავთულებს ხმარობენ.  
დღეს ერთ იტალიელ ფიზიკოსს, მარკონის, აღმოუჩენია ახალი  
საშუალება უმავთულოთ ტელეგრაფის გაგზავნისა. ეს  
დამყარებულია გერცის ელექტრო-მაგნიტურ თეორიაზე.

ამ თეორიით ელექტრონი, სინათლის მსგავსათ, წარმო-  
ადგენს ტალღებისებურ მოძრაობას ეფირისას, რომელიც  
იფანტება ყოველ მხრივ სწორეთ ისე, როგორც წყალი,  
რომელშიაც ჩაადგდებენ ქვას. აი ამაზე დაამყარა მარკონიმ  
თავდაპირველათ თავისი ახალი გამოგონება ტელეგრაფის გა-  
საგზავნი აპარატისა. იგი შედგება ორი მეტალის ნაწილისა-



გან, რომლებშიაც განსაკუთრებული ელექტრონის მანქანით ჩნდება მძლავრი ნაპერწკლები. ესენი აჩენენ ელექტრონულ მოვლენებს ჯერ ახლო-მახლო ჰაერში და მერე კი შორეულში. ამ ნაირათ ელექტრონი პირვანდელ ადგილიდან იფანტება ყოველ მხარეზე ტალღების მაგვარათ და თანდათან სუსტდება, რაც განშორდება თავის ამამოძრავებელ მანქანას. აი ამ ელექტრონულ ტალღებს იქერს დეპეშის მისაღები აპარატი, რომელშიაც მოძრაობს ზარა ან ჩაქუჩი. გორზეს ტელეგრაფულ ნიშნების შეგმწეობით ეს ჩაქუჩის რაკენი ან ზარის ცემა შესაფერი ხანგრძლივობით ტელეგრაფს დანიშნულებისამებრ გადასცემს.

მარკონის ცდას მართალია, ჯერ-ჯერობით შესამჩნევი ცვლილება არ მოუხდენია ტელეგრაფის ტექნიკაში, რადგან იგი მხოლოდ 10—15 ვერსის მანძილზე სცადეს, მაგრამ მომავალი კი მისია.

## გამოსადეგი ამბავი.

### ძვირფასი თვლები.



უაგულ ზაუხულში, დაბინდდება თუ არა, აქა-იქ. მწვანე ბალახებში რაღაც განათლდება ხოლმე, თითქოს ლამპრები დაუნთიათო, ყველამ იცის, რომ ეს ციციანთელაა. რაც უფრო თბილი ქვეყანაა, იმდენათ უფრო მეტი ციციანთელაა და უფრო ცხოვლათ ანათებს.

იტალიაში იპოვნენ ციციანთელა დაფრინავს, რომ შორიდან ისე მოჩანს, თითქოს ვარსკვლავები ცეკვამენო.

ამერიკაში ქალები საღამოსადადობით იქერენ დიდხალ ციციანთელებს და თმების მოსართავათ იკეთებენ და იმათ ისეთი ბრწყვიალი გააქვთ, რომ იტყვით, თმებში ძვირფასი თვლები აქვთ გაკეთებულთ.



საფრანგეთის მინდვრებში დიდძალი ციციანათელები და მწვანე ხოქოებია, რომელნიც ძალიან ბრკყვიანავენ. სოფლელები მუყაითად დაედებენ ამ მაგაო ფრთებიან ხოქოებს, დიდძალს აგროვებენ და ჰყიდიან იმ ფაბრიკებში, სადაც აკეთებენ ძვირფას სამკაულებს. ამ ციციანათელას ფრთებს და ან მთლათ ციციანათელას ოქროში და ვერცხლში ჩასვამენ და ისე აკეთებენ საყურებს, გულის-ქინძისთავეებს და ყელ-საბამებს და მერე ჰყიდიან ხოლმე მდიდარ ქალების სამკაულებათ.


მშვენიერ ნივთებს აკეთებენ იმ მწვანე—ოქროვან ციციანათელებისაგან, რომელნიც გერმანიაში ვარდებზე დაფრინავენ.

მაგრამ ყველაზე ძვირფასი და უხეველი ციციანათელები ჩინეთისა და ინდოელებისაა. ისინი ნამდვილ ძვირფას თვლებსიგან არ განირჩევიან, იტყვიან ლალი და ზურმუხტიაო. იშვიათი და მშვენიერი ნივთეულობაა და ფასსაც დიდს ადებენ.

ამერიკულ ციციანათელებს ინახამენ პატარა ყაფაზებში და იმითი ოთახებს ანათებენ სანთლების მაგივრათ. ცხელ ქვეყნებში ციციანათელებს დიდი სარგებლობა მოაქვთ, გაადა იმისა რომ უნათებენ ოთახებს, ისინი თავიანთი სინათლით მწერებს და კოლოებს იგერებენ. სამხრეთ აზიაში ფრინველები მიწაში რომ იკეთებენ ბუდეებს, შიგ ციციანათელებს ჩაამწკრივებენ, რომ მათი მტრები ვერ მიუახვენ. მაგალითათ: გველები, ხვლიკები, ვირთაგვეები და სხვა. მეტადრე გველეები და ვირთაგვეები დაინახამენ თუ არა შორიდანვე განათებულ ბუდეს, მაშინვე შიშით შორდებიან.







### გამოცანა

(წარმოდგენილი მ. ჯეჯეშვილის-მიერ).

პაწაწინა, თეთრი მატლი,  
მწვანე ფოთლით იკვებება,  
გაიზრდება, დამშვენდება,  
მისი ნახვა გვიამება;  
ლამაზი და მშვენიერი,  
მუშაობას შეუდგება,  
რას აკეთებს? სახლს იშენებს!  
მერე? თითონ შიგვე კვდება!..  
მისი სახლის ნაშთებიოა,  
ბევრი ხალხი იმოსება!

### ჩქარა გამოსათქმელი

კიტრი ნაკიტრალს კიტრათ თესილი, დიმიტრიმ კიტრი  
საკიტრათ ჰკრიფა.

ღობე ღორსა ორ ღობესა ეღობ ორღობავებოდა.

### წვრილმხნი


სახუმარა გასართობი.

ერთი ფილოსოფოსი მდიდარ კაცთან სადილად იყო და  
სანუკვარს გულიანად მიირთმევდა. მასპინძელს უნდოდა  
ბრძენი კაცი მასხარად აეგდო და ჰკითხა:

— განა ფილოსოფოსები გემრიელ საკმელსაც ეწყობიან?  
— მაშ რა გგონია, — მიუგო ფილოსოფოსმა, — რაც გემრიელია, ღმერთს მარტო უმეცრებისათვის გაუჩენია?

— ტიტო, თქვენს კლასში ყველაზედ ზარმაცი ვინ არის?  
— არ ვიცი.  
— რატომ არ იცი, ეგ ადვილი გამოსაცნობია.  
— აბა როგორა?  
— როცა ყველანი სწავლობენ კლასში, უსაქმოდ რომელი ზის ხოლმე?  
— ჰაა, ვიცი, ვიცი, ჩვენი მასწავლებელი!

ბიძია.







მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

# დ რ ღ ე ბ ა

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე  
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება  
შინაარსით.

უფიქვან დღიურ გამოცემას გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.  
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ტელეგრაფული ფასები ერთი შუკრი. დამატებიანი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემო-  
იტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

### ქ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1 9 0 9 წ ლ ი ს ა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზო-  
გადოების წიგნის ელაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-  
ან. ქარვასლა; ნაძალადეგში მეპატრონე მელიტონ ლომბერძენისთან—მა-  
გისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ  
სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

### ხელის მოწერათა საშუალებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ  
ვინცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-  
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდეს-  
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დღით 8-დან 3 საა-  
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Дროება“ И. С. АГЛАДЗЕ.





1909 წლის აპრილიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# — ჩვენნი აზრნი —

იმავე პროგრამით, როგორც გამოდის.

გაზეთს უავს საკუთარი კორესპონდენტები ევროპაში, სპარსეთში და სახელმწიფო ღუმაში.

ფაზეთის ფასი:

	1 წლით.	6 თვით.	3. თვით.	1. თვით.
თფილისში . . . . .	7 მან.	4 მან.	2 მ. 20 კ.	80 კაპ.
ქალაქ გარეთ. . . . .	7 მან.	4 მან.	2 მ. 50 კ.	90 კაპ.
საზღვარ გარეთ. . . . .	10 მან.	5 მან.	3 მან.	1 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოთ თვის პირველ რიცხვიდან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ხელისმწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძალადევის, ავქალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში. რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ . . . . . 6 р. — к.	за годъ . . . . . 8 <sup>1</sup> / <sub>2</sub> р. — <sup>1</sup> / <sub>2</sub> к.
за полгода . . . . . 3 р. 50 к.	за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльные №—5 коп. Загра, лицу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиби.